საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მონიტორინგის

შემაჯამებელი ანგარიში

CDD
განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

„განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ მადლობას უხდის ორგანიზაციის თითოეულ დამკვირვებელს, წარმომადგენელსა და სადამკვირვებლო მისიაში ჩართულ ყველა წევრს, საარჩევნო პროცესში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ სახალხო დაფინანსების/Crowd Funding-ის თითოეულ მხარდამჭერს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა 2020 წლის სადამკვირვებლო მისიის განხორციელება.

©2020, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

სარჩევი

5 შესავალი

6 სადამკვირვებლო მისიის შესახებ

10 წინასარჩევნო გარემო

10 საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა

13 არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები

COVID-19 ინფექციის პირობებში არჩევნების ჩატარება

17 საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისია

საოლქო საარჩევნო კომისია

საუბნო საარჩევნო კომისია

სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნები და კომისიები

სპეციალური საარჩევნო უბნები კარანტინსა და თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პროფესიული მომზადება

საარჩევნო ადმინისტრაციის როლი ონლაინ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში

33 არჩევნების უსაფრთხოება და შსს-ს როლი

35 ამომრჩეველთა ინფორმირება

CDD-ის ჩართულობა ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების პროცესში

37 საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

პასიური საარჩევნო უფლება
პარტიული სიების რეგისტრაცია
მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა/რეგისტრაცია

შემაჯამებელი ანგარიში

40 ამომრჩეველთა რეგისტრაცია/სია

44 წინასაარჩევნო კამპანია

კანდიდატების წარდგენა/დასახელება

საარჩევნო კამპანიის წარმოება და ეთიკური წესები

50 ერთობლივი ქცევის კოდექსი

51 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

52 თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია

53 წინასაარჩევნო გარემოს შეფასება

55 **კენჭისყრის დღე**

55 კენჭისყრის პროცესი, ხმის დათვლა და შედეგების შეჯამება

59 კენჭისყრის დღის შეფასება და საზოგადოების ინფორმირება

60 დარღვევები, საჩივრები და დავები

66 ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება

67 **არჩევნების მეორე ტური**

67 წინასაარჩევნო გარემო

68 მეორე ტურის ორგანიზება

69 CDD-ის სადამკვირვებლო მისია

70 კენჭისყრის დღე

72 **არჩევნების შედეგები**

73 **დასკვნა**

75 **რეკომენდაციები**

სადამკვირვებლო
მისია 2020

შესავალი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც 2008 წლის 26 თებერვალს დაარსდა. ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებებია: არჩევნების მონიტორინგი, მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება, მათი ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმებისა და პროცესების შესახებ.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი 2012 წლიდან მოყოლებული აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესების მიმდინარეობას საქართველოში.[1] CDD-იმ არჩევნების დაკვირვების საერთაშორისო პრინციპებითა და მეთოდოლოგიით, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, 2010-2019 წლებში განახორციელა 19 სხვადასხვა სახის არჩევნების მონიტორინგი.[2]

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დააკვირდა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების მიმდინარეობას, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. CDD აკვირდებოდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღის (უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი და უბნის დახურვა) და არჩევნების შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდის და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურებზე ასევე, 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურზე.

არჩევნები შეფასდა ეუთოს ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან, ისევე როგორც ეროვნული კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის კუთხით.

სადამკვირვებლო მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა სახალხო დაფინანსების/CrowdFunding-ის მეშვეობით.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე ინფორმაცია დაეხმარება საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს, გაანალიზონ მიღწევები და აღმოფხვრან არსებული ხარვეზები, რაც, ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

1 იხილეთ CDD-ის საქმიანობის ამსახველი ვიდეო რგოლი https://www.facebook.com/watch/?v=1728699690622215
2 საარჩევნო მიმართულებით CDD-ის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: http://cdd.ge/ და სოციალური მედიის გვერდზე: https://www.facebook.com/CDD.ge.

სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მონიტორინგის მიზნით, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2019 წლის 3 სექტემბერს დარეგისტრირდა ცესკოში ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად (ცესკოს განკარგულება N079/2020).[3]

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო გარემოებებიდან გამომდინარე, რომელიც გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიით განპირობებული აკრძალვებით მოგზაურობაზე, ნეგატიურად აისახა უცხო ქვეყნებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობაზე, მონაწილეობა მიეღოთ 31 ოქტომბრის არჩევნების მოკლევადიან მისიაში. შესაბამისად ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისოორგანიზაციებმა,როგორიცაა: ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) შეზღუდეს სადამკვირვებლო მისიების განხორციელება.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველად საქართველოს ისტორიაში, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა გადაწყვიტა საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოყვანა და ერთობლივი სადამკვირვებლო საქმიანობის განხორციელება. შერეული სადამკვირვებლო მისია წარიმართა საერთაშორისო ორგანიზაციასთან „დემოკრატიისა და კულტურული გაცვლის ინსტიტუტი“ (IDEM)[4] პარტნიორობით, რომელიც აგრეთვე დარეგისტრირდა ცესკოში საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციად (ცესკოს განკარგულება N224/2020).[5]

ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის განხორციელების მიზნით, „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრსა“ (CDD) და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია„დემოკრატიისადაკულტურული გაცვლის ინსტიტუტს“ (IDEM) შორის 27 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა თანამშრომლობის მიზანი, გზები და ფორმები.[6]

ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისთვის წელს პირველად, ქართული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ისტორიაში, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა (CDD) ჩაატარა თამამი ექსპერიმენტი და არჩევნებზე დაკვირვებისთვის საჭირო რესურსებისთვის თანადაფინანსების მოპოვება Crowdfunding-ის საერთაშორისო პლატფორმის მეშვეობით გადაწყვიტა.[7] ექსპერიმენტის მიზანი იყო ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისთვის 9000 აშშ დოლარის შეგროვება. გვერდი 17 სექტემბერს ერთ-ერთ პოპულარულ პლატფორმაზე – Gofundme.com შეიქმნა და სასურველი თანხის 80%-ზე მეტი შეგროვდა. შემოწირულობის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მეგობარი ორგანიზაციების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ქართველი მიგრანტების მიერ არის გაღებული.

3 იხილეთ ცესკოს განკარგულება https://cesko.ge/res/docs/20200903193602gank79.pdf

4 იხილეთ ინფორმაცია IDEM-ის შესახებ https://www.idem-institute.org/

5 იხილეთ ცესკოს განკარგულება https://cesko.ge/res/docs/20201009220714224.pdf

6 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3530194720379772

7 ვრცლად იხილეთ - https://bit.ly/3j3Kjo5

ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში CDD მასპინძლობდა საარჩევნო გარემოს შემსწავლელ საერთაშორისო დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საფრანგეთის პარლამენტის მაღალი რანგის საჯარო მოხელეები, საერთაშორისო დონის ექსპერტები და ევროპარლამენტარები.

ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა და გამჭვირვალობა

CDD აქტიურად მონაწილეობდა არჩევნების თემაზე შექმნილ სხვადასხვა მუშა ჯგუფებში, მათ შორის:

- **თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (IAC/IATF)**

  CDD აქტიურად მონაწილეობდა უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში. ჩვენი წარმომადგენელი სისტემატიურად ესწრებოდა კომისიის სხდომებს და აკვირდებოდა კომისიის მუშაობას.[8]

- **ტექნიკური მუშა ჯგუფი (TWG)**

  საარჩევნო პერიოდში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივით ფუნქციონირებს ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან Technical Working Group (TWG)), სადაც განიხილება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, სადაც წარადგენს ინფორმაციას მიმდინარე საქმიანობების შესახებ.[9]

- **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დროებითი საკონსულტაციო კომისია**

  განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი მონაწილეობდა საარჩევნო თემასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო შეხვედრაში, რომელიც გაიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან.[10] შეხვედრებზე CDD აქტიურად აფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებებს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

- **ცესკოს ინიციატივა „ვიმსჯელოთ ერთად“**

  განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივის - „ვიმსჯელოთ ერთად“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში, სადაც წარადგენდა საკუთარ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.[11]

CDD-ის სადამკვირვებლო მისია აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების შედეგების შესახებ. ერთ-ერთი ესეთი შეხვედრა, მიმდინარე დაკვირვების შედეგების და მიგნებების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარების მიზნით, გაიმართა 24 სექტემბერს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან.[12]

8 კომისიის სხდომა 13.10.2020 https://bit.ly/3k75S8p
9 ვრცლად იხილეთ https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3033341220065127
10 ვრცლად იხილეთ - https://bit.ly/3k37GiE
11 ვრცლად იხილეთ - https://bit.ly/2Hb0gvN ; https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3067837269948855
12 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3430213347044577

დაკვირვების მეთოდოლოგია და მასშტაბები

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი აქტიურად აკვირდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას. CDD-იმ განახორციელა ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამართული სხდომების მონიტორინგი. CDD-ის სადამკვირვებლო მისია, აგრეთვე დააკვირდა საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს, რომელიც წარიმართა თბილისის 7 სტამბაში.[13]

CDD-ის სადამკვირვებლო მისია დააკვირდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის პროცესს თბილისის მასშტაბით. ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისგან გამოითხოვა და შეისწავლა ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების ერთობლივი სადამკვირვებლო მისია არჩევნების დღეს დააკვირდა 100 კაციანი შერეული სადამკვირვებლო მისიით, ქვეყნის მასშტაბით - 10 რეგიონში. შერეული სადამკვირვებლო მისია მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდის, კენჭისყრის დღის (უბნის გახსნის, კენჭისყრის პროცესი და უბნის დახურვა/შეჯამება) და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგს.

სადამკვირვებლო მისია ასევე დააკვირდა არჩევნების მიმდინარეობის არჩევნების დღეს საზღვარგარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებზე (აშშ-სა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში), კერძოდ: ბერლინში, ფრანკფურტში, ბარსელონაში, ვარშავაში, ჰააგაში, კოპენჰაგენში, ლონდონში, რომსა და ნიო უორკში გახსნილ საარჩევნო უბნებზე.

სადამკვირვებლო მისია შედგებოდა CDD-ის დამკვირვებელთა ქსელის გამოცდილი წევრებისგან და ღია კონკურსის შედეგად შერჩეული IDEM-ის საერთაშორისო დამკვირვებლებისგან, რომლებიც გადანაწილებულ იყვნენ მობილურ ჯგუფებში. სადამკვირვებლო მისიის დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იყო ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, რის შედეგადაც მისიაში წარმოდგენილი იყო 57% ქალი და 43% კაცი.

სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობა დაკომპლექტდა, როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობის გამოცდილების მქონე პირებისგან, რომელთაც გავლილი აქვთ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ორგანიზებით გამართული გრძელვადიან (LTO) და მოკლევადიან დამკვირვებელთა (STO) მოსამზადებელი ტრენინგები.[14]

კენჭისყრის დღის მონიტორინგის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნება CDD-ის მიერ, არჩევნების დაკვირვების საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად შემუშავებული დაკვირვების

13 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/res/docs/20201020010307285.pdf; https://cesko.ge/geo/list/show/121912-saarchevno-biuletenebis-bechdva-daitsko

14 დამკვირვებლების შესახებ იხილეთ ვიდეო რგოლები: https://www.facebook.com/watch/?v=1307748116230964 https://www.facebook.com/watch/?v=256497659133714

მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც მომზადდა ბრენდირებული მასალები, დამკვირვებელთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, ელექტრონული შეფასების ფორმები (ქართული და ინგლისურ ენაზე) და სხვადასხვა საჭირო მასალები.

სადამკვირვებლო მისიის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სათანადოდ მომზადების მიზნით, ჩატარდა გრძელვადიანი[15] და მოკლევადიანი დამკვირვებლების ტრენინგი, როგორც უცხოელი აგრეთვე ქართველი დამკვირვებლებისთვის.[16] სადამკვირვებლო მისიის წევრებმა აგრეთვე გაიარეს:

- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ორგანიზებული ტრენინგი კიბერუსაფრთხოებისა და არჩევნების საკითხებზე;[17]
- ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო კურსი დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის.[18]

სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დღის პროცედურების დაკვირვების მიზნით, გამოცხადდა დამკვირვებელთა შესარჩევი კონკურსი.[19] შერჩეულმა დამკვირვებლებმა გაიარეს სპეციალური დისტანციური სწავლება და განახორციელებენ კენჭისყრის დღის მონიტორინგს სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებზე.

შერეული სადამკვირვებლო მისიის ქცევის კოდექსი

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ (CDD) და „დემოკრატიისა და კულტურული გაცვლის ინსტიტუტის“ (IDEM) დამკვირვებლებმა ქცევის კოდექსს მოაწერეს ხელი.[20] ქცევის კოდექსი ითვალისწინებდა ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მხრიდან მიუკერძოებელი დაკვირვების ეთიკური პრინციპებისა და ქცევის სტანდარტების დაცვის ვალდებულებას. სადამკვირვებლო მისიის პრინციპებია: კანონის პატივისცემა; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა; სიზუსტე; გამჭვირვალობა; თანამშრომლობა და პროფესიონალიზმი.



15 იხილეთ ინფორმაცია ტრენინგების შესახებ https://bit.ly/2T26pfY
16 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3538856396180271
17 იხილეთ ინფორმაცია ტრენინგების შესახებ https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3398051973594048
18 ვრცლად იხილეთ - https://bit.ly/3452dCr
19 იხილეთ ინფორმაცია კონკურსის შესახებ https://bit.ly/3j8XLXz
20 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3537492722983305

წინასარჩევნო გარემო

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების 2017-2020 წლის დღის წესრიგის მიხედვით საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ვალდებულება იყო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფა, ახალ საარჩევნო ციკლში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისა (IATF) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო-ს)/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ, საკანონმდებლო და საარჩევნო ადმინისტრირების კუთხით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით, კერძოდ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. აღნიშნული გამომდინარე, საარჩევნო რეფორმის განხორციელების აუცილებლობა კვლავ დღის წესრიგში დადგა.

საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობა 2019 წელს დაიწყო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ორგანიზებით პირველი სამუშაო შეხვედრა 2019 წლის 13 ივნისს გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგნელებმა. განისაზღვრა თანამშრობლობის ფორმატი და საარჩევნო თემაზე მომუშავე ძირითადი მხარეების ჩართულობით აქტიური მუშაობა დაიწო ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა (OSCE/ODIHR) და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მომზადებული რეკომენ-დაციების განხილვაზე.

2019 – 2020 წლების პერიოდში ზემოხსენებულ ფორმატში გაიმართა სამუშაო ჯგუფის 8 შეხვედრა. მათ შორის ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მგომარეობიდან გამომდინარე ოთხი შეხვედრა წარიმართა დისტანციურ ფორმატში. აღნიშნული სამუშაო შეხვედრები საკმაოდ წარმომადგენლობითი და ნაყოფიერი იყო, რაც ჩვენი ორგანიზაციის აზრით პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს.

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში აქტიურად იღებდა მონაწილეობას განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD). ჩვენი ორგანიზაციის მიერ წარდგენილ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა შემდეგ ძირითად საკითხებს :

- საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის გადახედვა;
- სიძულვილის ენის მარეგულირებელი ნორმების შემოღება;
- განცხადება/საჩივრების განუხილველად დატოვების საფუძვლების გადახედვა;
- წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) წესების მკაფიო რეგულირება და „სიჩუმის დღის“ შემოღება;
- იმ კატეგორიის ამომრჩევლებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ რეგისტრაციის

ადგილიდან განსხვავებულ მისამართზე და არ სურთ რეგისტრაციის მისამართის შეცვლა, წინასწარი რეგისტრაციის მექანიზმის შემოღება;

- პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის ასაკობრივი ცენზის შემცირება;
- საეთერო დროის თანაბარი პირობებით გადანაწილების უზრუნველყოფა;
- არჩევნების მეორე ტურისთვის განმახორციელებელი აქტივობების მკაფიო რეგულირება;
- ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის ვადების შემცირება;
- საარჩევნო ბიულეტენის ბათილობის საფუძვლების გადახედვა.

საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა (OSCE/ODIHR) და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, 2020 წლის 24 ივნისს, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ. კანონპროექტთან დაკავშირებით განხილვები წარიმართა დაჩქარებული წესით. განხილვებს შორის საკომიტეტო მოსმენებზე დაზუსტდა კანონპროექტში არსებული გარკვეული ნორმების შინაარსი და დაემატა რიგი საკითხები, მათ შორის საყურადღებოა და დადებით შეფასებას იმსახურებს სავალდებულო დროებითი კვოტების შემოღება და ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციული ღონისძიებების კანონმდებლობაში ასახვა.

მისასალმებელია, რომ სამუშაო ჯგუფის ფორმატში გაზიარებულ იქნა როგორც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), აგრეთვე, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების, მათ შორის CDD-ის მიერ მომზადებული რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომელმაც შემდეგ ასახვა ჰპოვა საქართველოს საარჩევნო კოდექსში.

საარჩევნო რეფორმის პროცესში CDD-ის მიერ გავრცელდა არაერთი მიმართვა და განცხადება.[21] საარჩევნო რეფორმის დასრულების შემდგომ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის მიერ შეფასდა საარჩევნო რეფორმების განხორციელების პროცესი და მიღწეული შედეგი.[22]

აღსანიშნავია ქვეყნის პოლიტიკურ აქტორებს შორის, საერთაშორისო ფასილიტატორების ჩართულობით, გამართული მოლაპარაკებების კონსენსუსით დასრულება და ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება, როგორიცაა: საარჩევნო სისტემის ცვლილება, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, გენდერული კვოტის შემოღება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია, საარჩევნო კამპანიის თანაბარ პირობებში წარმოება, კენჭისყრის შენობის მიმდებარედ

21 ვრცლად იხილეთ - http://cdd.ge/ ელ. ბიბლიოთეკა/ განცხადებები

22 ვრცლად იხილეთ:
https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3254735071259073
https://www.facebook.com/CDD.ge/posts/2900188540047063

ამომრჩევლის ნების კონტროლის აკრძალვა და სხვა. ჩვენი აზრით აღნიშნულ საკითხებზე შეთანხმება წარმოადგენდა პოლიტიკური პროცესის დასტაბილურების, პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების წინაპირობას.

2020 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი მიიღო,[23] ხოლო 2 ივლისს, მე-3 მოსმენით, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისი ცვლილები განხორციელდა.[24] საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციულთან მიახლოებული საარჩევნო სისტემით უნდა გამართულიყო. ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ გუნდს შორის 8 მარტს მიღწეული შეთანხმებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, 120 დეპუტატი პროპორციული სიით, 1%-იანი საარჩევნო ბარიერის პირობებში აირჩეოდა, ხოლო 30 დეპუტატი მაჟორიტარული სისტემით. სიახლეს წარმოადგენდა ასევე ის, რომ ხმების 40%-ზე ნაკლების მქონე პარტია დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა მთავრობის ჩამოყალიბებას.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) მიიჩნევს, რომ 2019-2020 წლებში საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით განხორციელებული საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ცვლილებები ცალსახად დადებით შეფასებას იმსახურებს, რასაც უნდა უზრუნველყო 2020 წლის არჩევნების უფრო მეტად სამართლიან, კონკურენტულ და თანასწორ გარემოში ჩატარება. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით აღმოიფხვრა საარჩევნო კოდექსში არსებული ხარვეზები, თუმცა კვლავ დარჩა ცალკეული ნორმები, რომლებიც დაზუსტებასა და დახვეწას საჭიროებდა.

საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებამ „ახალი პოლიტიკური ცენტრი", საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა[25] ნორმა, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს უდგენდა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიის იმგვარად დარეგისტრირების ვალდებულებას, რომ სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2020 წლის 25 სექტემბერს ნაწილობრივ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი, რის საფუძველზეც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს მამაკაცი.

23 ვრცლად იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
24 ვრცლად იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=0

25 ვრცლად იხილეთ: კონსტიტუციური სარჩელი №1526

არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები

2020 წლის 2 ივლისს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად პირდაპირ განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების ჩატარების თარიღი, რომელიც უნდა გამართულიყო საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. თუმცაღა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღის დანიშვნის უფლებამოსილება კანონით საქართველოს პრეზიდენტს ენიჭებოდა, შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს N31/08/01 განკარგულებით, საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს დაინიშნა.

საქართველოს პარლამენტის არჩევნები საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ რეგულირდება. გარდა აღნიშნული ძირითადი აქტებისა არჩევნებს აწესრიგებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ და კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებები და განკარგულებები. საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს.

საარჩევნო რეფორმის განხორციელების მიუხედავად, უკანასკნელი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდგომ, 2020 წლის სექტემბერს შევიდა.[26] ცვლილებების ინიციატორი გახლდათ მპგ „ქართული ოცნება“ (საქართველოს პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი და გურამ მაჭარაშვილი), რომლის თანახმადაც ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა სისხლის სამართლის წესით დასჯადი უნდა გამხდარიყო. აღნიშულმა ინიციატივამ პოლიტიკურ წრეებში გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა, ოპოზიციური დეპუტატების აზრით გაურკვეველი იყო მიზეზი თუ რატომ გახდა საჭირო აღნიშნული ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღება და ბოლო წუთას აღნიშნული ნორმის დამატება, მაშინ როდესაც მისი საჭიროება საარჩევნო რეფორმების ფორმატში არ იყო წამოჭრილი.[27]

პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებების მიზანი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების „უმაღლესი დემოკრატიული სტანდარტით“ ჩატარება იყო, რაც საქართველოს მოქალაქეებს საარჩევნო პროცესების მიმართ მაქსიმალურ ნდობას გაუჩენდა.[28] საარჩევნო კოდექსში 3 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით აგრეთვე დაზუსტდა პოლიტიკური პარტიების მიერ ცესკოს

26 ვრცლად იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4984938?publication=0 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4984570?publication=0
27 ვრცლად იხილეთ: https://www.radiotavisupleba.ge/a/30817360.html, https://civil.ge/ka/archives/363876
28 ვრცლად იხილეთ: https://civil.ge/ka/archives/363829

წევრების დანიშვნის წესი და საარჩევნო კოდექსის ცალკეულ ნორმათა შინაარსი და შესწორდა კოდექსში არსებული გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. ოდნავ მოგვიანებით, კერძოდ კი 18 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა აგრეთვე დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციისას პირის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლებას და განისაზღვრა არჩევნებში პარლამენტის წევრად არჩეული პირის მიერ ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის წარდგენის წესი.[29]

საარჩევნო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებების დაჩქარებულ წესით მიღების პროცესმა და ასევე გარკვეული დებულების განმეორებითმა და გარდამავალმა ბუნებამ განახლებული სამართლებლივი ჩარჩო გარკვეულწილად არათანმიმდევრული და არასტაბილური გახადა.

COVID-19 ინფექციის პირობებში არჩევნების ჩატარება

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) იყო პირველი ორგანიზაცია, რომელმაც შეისწავლა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პირობებში არჩევნებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკა, რის საფუძველზე გამოავლინა მაღალი რისკის მქონე საარჩევნო ღონისძიებები, რომლებსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინათ ვირუსის გავრცელებაზე და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე. აღნიშნული რისკების გათვალიწინებით, CDD-ის მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაციების პაკეტი, პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩასატარებლად, რომელიც მიწოდებულ იქნა არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის.[30] აღნიშნული რეკომენდაციები აგრეთვე გაზიარებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.[31] აღნიშნულ თემაზე აგრეთვე მოეწყო გადაცემა, სადაც ცესკოს თავმჯდომარის ჩართულობით განხილულ იქნა პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული გამოწვევები და CDD-ის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.[32]

CDD-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცესკოში, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შეიქმნა სპეციალურ სამუშაო ჯგუფში, რომელშიც CDD-ისთან ერთად ჩართული იყვნენ, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. CDD-ის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში ჩვენი რეკომენდაციების ადვოკატირების უზრუნველსაყოფად.[33] ჩვენი რეკომენდაციების შესრულებაზე ორგანიზაციამ გაავრცელა არაერთი განცხადება.[34]

29 ვრცლად იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4995008?publication=0

30 იხილეთ დეტალური ინფორმაცია და რეკომენდაციები https://bit.ly/3mvBC8R

31 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3068289753236940

32 იხილეთ ვიდეო https://www.facebook.com/watch/?v=668595453990034

33 ვრცლად იხილეთ: https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3404877786244800
https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3471475152918396

34 ვრცლად იხილეთ: https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3510470199018891

CDD-ის რეკომენდაციების შესრულება

N	რეკომენდაცია	შესრულება		
		სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
1	მნიშვნელოვანია არჩევნების დანიშვნამდე შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, სადაც გაერთიანებულები იქნებიან ხელისუფლების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამედიცინო სფეროს ექსპერტები. საბჭო შეიმუშავებს პრევენციულ ღონისძიებებსა და რეკომენდაციებს არჩევნების უსაფრთხოდ გამართვის უზრუნველსაყოფად. საბჭომ ასევე უნდა იზრუნოს ამომრჩევლებისთვის შესაბამისი ინფორმაციებისა და სიახლეების დროულად მიწოდებაზე.	✓		
2	ამომრჩევლებთან (მხარდამჭერებთან) ფიზიკური კონტაქტის შესამცირებლად საარჩევნო სუბიექტებმა აუცილებელია გამოიყენონ კამპანიის წარმოების მხოლოდ ალტერნატიული მექანიზმები, ისეთი როგორიცაა: სოციალური მედიის პლატფორმები, ინტერნეტი ან ტრადიციული მედია საშუალებები;		■	
3	ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ამომრჩევლებთან (მხარდამჭერებთან) ფიზიკური კონტაქტის შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერთა სიების შევსების უსაფრთხო მექანიზმის შემუშავება;			✗
4	არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაციისთვის სასურველია განხილულ იქნას დისტანციურად რეგისტრაციის შესაძლებლობა (ელ. ფოსტა, ელექტრონული პლატფორმა და სხვა);			✗
5	საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია განხილულ იქნას კონკურსის დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობა (ელ. ფოსტა, ელექტრონული პლატფორმა და სხვა);	✓		
6	ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და სიაში გადამოწმებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს არსებული დისტანციური სერვისების განვითარება და ამომრჩეველთა ეფექტური ინფორმირება;	✓		
7	მნიშვნელოვანია კომისიის წევრთა და ჩართულ მხარეთა ტრენინგები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა; ამომრჩეველთა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები განხორციელდეს დისტანციურად;		■	
8	აუცილებელია საარჩევნო კომისიების მიერ საკუთარი უფლებამოსილების სოციალური დისტანციის დაცვით განსახორციელებლად, აგრეთვე კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოდ ჩასატარებლად განხორციელდეს იმ შენობა-ნაგებობების შესწავლა და ანალიზი, რომლებშიც იხსნება საარჩევნო უბნები. საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოძიებულ იქნას მცირე სივრცის მქონე კენჭისყრის ოთახების ალტერნატივა, რათა მოხდეს საარჩევნო უბნების ისე მოწყობა, რომ ყველა უფლებამოსილ პირს შეეძლოს უფლებების შეუზღუდავად განხორციელება და ფიზიკური კონტაქტის შემცირება;	✓		

9	მაღალი რისკის მქონე ამომრჩევლების (სამედიცინო პერსონალი, მესაზღვრეები, კარანტინში მყოფი ამომრჩევლები და სხვა), საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი ამომრჩევლებისა და მოწყვლადი ჯგუფების (მსჯავრდებული/ბრალდებულები, ხანდაზმულები, ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, მხარდაჭერის მიმღები და შშმ პირები და სხვა) არჩევნებში ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად განხილულ იქნას ხმის მიცემის უსაფრთხო და ალტერნატიული შესაძლებლობები (შესაძლებელია ვადაზე ადრე ხმის მიცემა);		■	
10	აუცილებელია შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები (გაიდლაინები): კომისიის წევრებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, კანდიდატებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, საკუთარი უფლებამოსილების სოციალური დისტანციის დაცვით განსახორციელებლად და კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოდ ჩასატარებლად;	✓		
11	სასურველია საარჩევნო კომისიების სხდომები და სხვადასხვა ფორმატის თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობა განხორციელდეს სოციალური დისტანციის დაცვით, საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს ეფექტური ონლაინ პლატფორმები (მაგ: სხდომების პირდაპირი ტრანსლირება);		■	
12	სასურველია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის დანესდეს ზედა ასაკობრივი ზღვარი, ვირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკ ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად;		■	
13	აუცილებელია შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები ამომრჩევლებისთვის, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე ფიზიკური კონტაქტის და ამომრჩეველთა ნაკადის შემცირებას. ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის აუცილებელია გამოყენებულ იქნას ყველაზე ეფექტური კომუნიკაციის საშუალებები (ვიდეო რგოლები, ბროშურები, პლაკატები და სხვა);	✓		
14	ადგილობრივი დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებისთვის სასურველია განხილულ იქნას განცხადება/საჩივრების ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და სასამართლოში ონლაინ წარდგენის შესაძლებლობა;			✗
15	ამომრჩეველთა აქტივობის შენარჩუნების მიზნით მნიშვნელოვანია განხილულ იქნას არჩევნებში მონაწილეობის წახალისების შესაძლებლობები;		■	
16	კენჭისყრის დღეს პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად აუცილებელია სარჩევნო უბნების აღჭურვა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ჯანმრთელობის დაცვის საშუალებებით (პირბადე, ხელთათმანი, სადეზინფექციო ხსნარი, სამოსი საჭიროებიდან გამომდინარე და სხვა.).	✓		

საარჩევნო ადმინისტრაცია

დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს აკისრია. საქართველოში არჩევნების ადმინისტრირებას ახორციელებს სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც შედგება ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან. ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა ცენტრალური საარჩევნო კომისა (ცესკო), რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი სისტემის საქმიანობის ორგანიზებასა და კონტროლს.

ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისია მუდმივმოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციაა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია დროებითი. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტების წესის მიხედვით შერეული ტიპისაა. საარჩევნო კომისიის 6 წევრი ინიშნება ზემდგომი ორგანოს მიერ პროფესიული ნიშნით (გარდა ცესკოსი), ხოლო 6 წევრს ნიშნავენ ის პარტიები, რომლებიც ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული იყვნენ დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის მეშვეობით საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, რომლებსაც საარჩევნო კოდექსის შესაბამისად მიეკუთვნათ საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები და რომლებმაც შექმნეს საპარლამენტო ფრაქცია.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების არსებული წესი და პრაქტიკა დიდი ხანია წარმოადგენს კრიტიკის საგანს. საარჩევნო კოდექსში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საპარლამენტო ფრაქციების მქონე პარტიებს საარჩევნო კომისიების წევრთა ნომინირების უფლება მიენიჭათ და წევრთა ოდენობა წინა საპარლამენტო არჩევნების დროს მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ანგარიშდებოდა. ამის შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე მმართველი პარტიის წარმომადგენლობა გაიზარდა, „ქართულ ოცნებას“ სამი წევრის, ხოლო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „ევროპულ საქართველოს“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ მხოლოდ თითო-თითო წევრის ნომინირების უფლება მიეცათ. მართალია საარჩევნო კომისიებში პროპორციული პოლიტიკური წარმომადგენლობა დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკას შეესაბამებოდა, თუმცა აღნიშნულმა წესებმა გასულ წლებში საზოგადოების მიერ საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებულ აღქმებზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.

მიუხედავად საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ძალისხმევისა შეცვლილიყო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების არსებული წესი, 2019-2020 წლებში განხორციელებული საარჩევნო რეფორმების შედეგად აღნიშნული საკითხზე შეთანხება ვერ იქნა მიღწეული. შედეგად 2020 წლის არჩევნებზეც საარჩევნო კომისიებში მმართველი პარტიის წარმომადგენლობა დომინანტური იყო, რაც

საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკურ მიკერძოებულობასთან დაკავშირებით ხშირად კითხვის ნიშნებს აჩენდა.

მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაცია დაცული იყოს არასათანადო პოლიტიკური გავლენებისგან და დაეფუძნოს წევრთა პროფესიულ კომპეტენციასა და დამოუკიდებლობას.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 11 წევრისაგან, რომელთაგან 5 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 6 წევრს ნიშნავენ უფლებამოსილი პარტიები კანონით დადგენილი წესით. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 5 წლის ვადით, ირჩევს ცესკო.[35] არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს ცესკოს აპარატი, რომელიც მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ მხარდაჭერას. ცესკოს და მისი ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 14-15 მუხლებით.

მისასალმებელია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძალისხმევა ეფექტურად, გამჭვირვალედ და დადგენილ ვადებში შეესრულებინა კანონით ნაკისრი ვალდებულებები. ცესკო გამოირჩეოდა პრაქტიკული დამოკიდებულებით, მუდმივად ახდენდა დაინტერესებული თუ არჩევნებში მონაწილე მხარეების ინფორმირებას საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. იმართებოდა დისტანციური შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან და პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო მისიების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

არჩევნების დანიშვნის დღიდან მისი საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე პერიოდში ცესკომ გამართა 27 სხდომა, მიიღო 25 დადგენილება და გამოსცა 281 განკარგულება.[36]

ცესკომ ძირითადი საარჩევნო ღონისძიებები კანონით დადგენილი ვადების დაცვით წარმართა, რამაც არჩევნების ტექნიკური ასპექტების ეფექტურად მართვის საშუალება მისცა. დადებით შეფასებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ხდებოდა არჩევნების საკითხთან დაკავშირებით ყველა ინფორმაციის დროული განთავსება და განახლება. ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად მონაწილეობდა ამომრჩევლის ინფორმირების პროცესში.

აღსანიშნავია ცესკოს აქტიური და პოზიტიური როლი ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის უზრუნველსაყოფად. ცესკომ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე ეპიდემი-ოლოგიური უსაფრთხოების პროტოკოლი და კარანტინში მყოფი ადამიანებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის წესები შეიმუშავა.

35 ცესკოს შემადგენლობა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-10 მუხლით.

36 წყარო: 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები>სამართლებრივი აქტები https://cesko.ge/geo/elections/2020

საოლქო საარჩევნო კომისია

ცესკომ, ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების ფორმირება, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების გამოცხადებამდე გაცილებით ადრე დაიწყო. 2020 წლის 10 ივლისს ცესკომ განსაზღვრა ის საოლქო საარჩევნო კომისიები და მათი სამოქმედო ტერიტორიები, რომლებიც სრულად/ნაწილობრივ ახორციელებენ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას.[37] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის 30 საოლქო საარჩევნო კომისია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას ახორციელებდა სრულად, ხოლო 43 საოლქო საარჩევნო კომისია - ნაწილობრივ. ოდნავ მოგვიანებით, 23 ივლისს, ცესკომ შეიმუშავა ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქცია.[38]

საარჩევნო ოლქები მომზადებულნი შეხვდნენ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებას. გამომდინარე იქიდან, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო პერიოდში გადადიან შერეულ დაკომპლექტების წესზე, 1 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა.

გასულ წლებთან შედარებით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა, კერძოდ 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მე-6 წევრის ვაკანტურ პოზიციაზე განაცხადი შეიტანა 172-მა კანდიდატმა (2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა იყო 366, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - 253). სამწუხაროა აგრეთვე ის ფაქტი, რომ საარჩევნო ოლქების 23,3%-ში (17 საოლქო საარჩევნო კომისია) მხოლოდ თითო კანდიდატი დარეგისტრირდა, რის გამოც ცესკოს მოუწია არჩევანი პირდაპირ ამ ერთ კანდიდატზე გაეკეთებინა. 4 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ 72 დროებითი წევრი აირჩია, ვინაიდან ხმათა უმრავლესობით ვერ აირჩა №37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი, იმავე სხდომაზე გამოცხადდა ხელახალი კონკურსი.

ცესკოს სხდომაზე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევნის პროცესი ღიად მიმდინარეობდა და დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ ამ პროცესს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ცესკომ კანდიდატთა დაუსწრებლად, მხოლოდ წარმოდგენილ საბუთებზე დაყრდნობით, გადაწყვიტა ყოველი კანდიდატის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. ცესკოს მიერ არჩეული 73 დროებითი წევრიდან, 68-ს უფიქსირდებოდა საარჩევნო სფეროში, კონკრეტულად კი საარჩევნო ადმინისტრაციაში სხვადასხვა წლებში როგორც კომისიებში ისე ტრენერად მუშაობის გამოცდილება.

ბოლო პერიოდში საარჩევნო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა მაღალი სტანდარტი დააწესა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის პოლიტიკურ

37 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: განკარგულება №52/2020 და განკარგულება №53/2020
38 ვრცლად იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936371?publication=0

მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ კანონით იკრძალებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული. სამწუხაროდ მსგავსი აკრძალვა არ მოქმედებდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შემთხვევაში და ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად, რამდენიმე საარჩევნო ოლქში, აირჩია ისეთი კანდიდატი რომლებიც ბოლო არჩევნებზე პოლიტიკური პარტიის მიერ იყვნენ დანიშნულნი. მართალია ეს კანონდარღვევას არ წარმოადგენდა, თუმცა მსგავსი ფაქტები ჩრდილს აყენებს საარჩევნო კომისიის წევრის მიუკერძოებლობის პრინციპს. ამავდროულად საარჩევნო კომისიების პროფესიონალ წევრთა შერჩევის ობიექტური მექანიზმების არარსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის პოლიტიკური მანიპულირებისა და ზემოქმედებისათვის, რაც ზიანს აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ადმინისტრაციული ორგანოს, რეპუტაციას.

მიგვაჩნია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი გადახედვას საჭიროებს. საჭიროა განისაზღვროს გასაუბრებისა და კანდიდატების შეფასების ობიექტური კრიტერიუმები და გონივრული ვადები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ყოველი კანდიდატის სრულყოფილად შეფასება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. აუცილებელია იმ პირებს, რომლებიც ბოლო არჩევნებზე იყვნენ პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული წევრები, კანონით აეკრძალოთ კონკურსის წესით საარჩევნო კომისიებში არჩევის უფლება (როგორც ეს გათვალისწინებულია საუბნო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში).

კანონმდებლობის მიხედვით უფლებამოსილ პარტიებს,[39] საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის მიზნით, 8 სექტემბრის ჩათვლით უნდა მიემართათ ცესკოსთვის. ამავდროულად აღსანიშნავია ცესკოს მიერ უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიებისთვის შექმნილი შესაძლებლობა, რომელიც მათ კომისიის წევრთა და წარმომადგენელთა ელექტრონული საშუალებებით წარდგენის საშუალებას აძლევდა.[40] შესაბამისად ოთხივე უფლებამოსილმა პარტიამ, ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამით დანიშნა დროებითი წევრი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

73 საარჩევნო ოლქში კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 876-ს, მათ შორის 574 (65.53%) იყო ქალი და 302 (34.47%) კაცი. საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობას მეტწილად დადებითად შევაფასებდით. კომისიის სხდომები გამჭვირვალედ, ძირითადად რეგლამენტის დაცვით მიმდინარეობდა. დაცული იყო ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო კომისიების კუთვნილ ან/და საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემულ შენობებში შესვლისას/გამოსვლისას და შენობებში ყოფნისას/გადაადგილებისას სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.[41] საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ კომისიის განთავსების შენობაში საჯაროვდებოდა, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობიდან და გადაადგილების გარკვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე,

39 პოლიტიკური გაერთიანებები: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ .
40 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №23/2020 2020 წლის 24 აგვისტო
41 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №24/2020, 2020 წლის 1 სექტემბერი

კარგი იქნებოდა მხარეთა ინფორმირების თანამედროვე მექანიზმების დანერგვა და გამოყენება.

საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მაქსიმალური ინფორმირებისათვის, მნიშვნელოვანია, საოლქო საარჩევნო კომისიებმა, მეტი გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, უზრუნველყონ სხდომების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ცესკოს ვებ-გვერდზე.

დადებით შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ცესკოს ვებგვერდზე ხდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებებისა და სხდომის ოქმების გამოქვეყნება,[42] რაც პროცესის გამჭვირვალობას და საჯაროობას უწყობდა ხელს. თუმცა პლატფორმაზე საოლქო საარჩევნო კომისიების სამართლებრივი აქტების განთავსება რიგ შემთხვევაში დაგვიანებით ან გარკვეული საოლქო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში საერთოდ არ ხდებოდა.

საოლქო საარჩევნო კომისიის გამჭირვალობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა გადაწყვეტილების ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნება კანონით იყოს სავალდებულო. შესაბამისად საჭიროა ცესკოს 2013 წლის 16 ივლისის N27 დადგენილებაში განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების ვადები და შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და ასევე შევიდეს შესაბამისი ცვლილება, როგორც გამოქვეყნების წესში, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტში.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, გაიარეს სპეციალური ტრენინგები, რომელიც განხორციელდა ორ ეტაპად:

- ტრენინგის I ეტაპი (10-16 სექტემბერი) - 63 საოლქო საარჩევნო კომისიის (20 ძირითადი და 43 დამხმარე კომისია) წევრების სწავლება. განხილულ იქნა ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. აღნიშნული ინსტრუქტაჟის ჩატარება უზრუნველყვეს საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა.
- ტრენინგის II ეტაპი (19-22 სექტემბერი) - 73 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების სწავლება. განხილულ იქნა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს შორის საქმიანობის კოორდინაცია/კომუნიკაცია (მათ შორის, საორგანიზაციო - ლოჯისტიკურ საკითხებზე); პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; ამომრჩეველთა სიები; კენჭისყრის დღე და საარჩევნო ოპერაციების მართვა; არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში; არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება. აღნიშნული ინსტრუქტაჟის ჩატარება უზრუნველყვეს სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა, დისტანციური სწავლების ფორმატში.

კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა, გამოიწვიოს თავის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, რის თაობაზეც პარტიამ უნდა აცნობოს

42 ოლქების სამართლებრივი აქტები https://olqsamaqt.cec.gov.ge/

შესაბამის საარჩევნო კომისიას.[43] კენჭისყრის დღემდე საოლქო საარჩევნო კომისიის 73 წევრიდან „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ - 38 წევრი, „ევროპულმა საქართველომ“ - 14 წევრი, „პატრიოტთა ალიანსმა“ - 11 წევრი, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ - 16 წევრი შეცვალა.

მიგვაჩნია, რომ პოლიტიკურ პარტიებს თავისუფლად არ უნდა შეეძლოთ მათ მიერ დანიშნული კომისიის წევრების თვითნებური გამოწვევა, რადგან ეს ეჭვქვეშ აყენებს კომისიის წევრების დამოუკიდებლობას. აღნიშნული კი უარყოფითად გავლენას ახდენს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობასა და სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანია კანონმდებლობით მკაფიოდ იყოს განსაზღვრული კომისიის წევრის გამოწვევის საფუძვლები და ვადები და კომისიის წევრის უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელების მყარ გარანტიებს ქმნიდეს.

საუბნო საარჩევნო კომისია

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის, სულ შეიქმნა 3 724 საარჩევნო უბანი. 30-მა ძირითადმა საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა 3 657 საარჩევნო უბანი.

საუბნო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან მათი ძირითადი ფუნქციაა ამომრჩევლის ხმის უფლების რეალიზება, კენჭისყრის დღის პროცედურების განხორციელება და ხმების დათვლა. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილების ვადით დროებითა, ხოლო დაკომპლექტების წესის მიხედვით შერეული, კერძოდ 6 წევრს ირჩევს ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 6 წევრს ნიშნავენ უფლებამოსილი პოლიტიკური გაერთიანებები.[44]

2020 წლის 4 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. განმცხადებელს საკონკურსო დოკუმენტაცია საოლქო საარჩევნო კომისიისთვის უნდა წარედგინა მატერიალური სახით ან გაეგზავნა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რაც CDD-ის რეკომენდაციას პასუხობდა და კარგ შესაძლებლობას ქმნიდა კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დაინტერესდა, თუ რამდენმა განმცხადებელმა ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობით და საოლქო საარჩევნო კომისიაში ელექტრონულად წარადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად ორგანიზაციამ მიმართა ყველა უფლებამოსილ საოლქო საარჩევნო კომისიას, თუმცა თითქმის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ (გარდა სამგორის და ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიისა) სტატისტიკური ინფორმაციაარგასცა,ხოლოუარისმოტივად დაასახელა კანონით ელექტრონულად შემოსული განაცხადების სტატისტიკის წარმოების ვალდებულების არარსებობა, რაც წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს არაკეთილსინდისიერ ქმედებას და ეწინააღმდეგებოდა საჯაროობის პრინციპს.

43 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 19.61

44 „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ .

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პირველად გამოაქვეყნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა სია. აღნიშნული შესაძლებელი გახდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2020 წლის 2 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რაც ცალსახად დადებითი მოვლენაა.

საუბნო კომისიების წევრთა პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ცესკომ განკარგულებით განსაზღვრა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესი, პირობები და ვადები,[45] გასული წლების არჩევნების მსგავსად საუბნო კომისიების პროფესიონალ წევრთა შერჩევა ობიექტური კონკურსის მეშვეობით გამოწვევას წარმოადგენდა.

გასულ საერთო არჩევნებთან შედარებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი შედარებით დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა. 3 657 საარჩევნო უბანში ასარჩევ 21 942 ვაკანტურ ადგილზე ცესკოს მონაცემების მიხედვით სულ 25 200 კონკურსანტის განაცხადი დარეგისტრირდა (2018 წელს კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა იყო - 29 855, ხოლო 2016 წელს - 35 956). ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არსებულ 6 ვაკანსიაზე ნაკლები განაცხადი შესული იყო 3 657 საარჩევნო უბნიდან 18 საარჩევნო უბანზე (0.49%), ხოლო ზუსტად 6 განაცხადი შევიდა საარჩევნო უბნების ნახევარზე მეტში (51.35%).[46] რაც პრაქტიკულად კონკურენციის არარსებობის პირობებში გადაწყვეტილების შესაძლებლობას იძლეოდა.

მნიშვნელოვანია კანონმდებლობით საუბნო საარჩევნო კომისიის ფორმირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება და საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრთა მუდმივი რეესტრის ფორმირება, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას მისცემს შესაძლებლობას პერიოდულად მოამზადოს და განაახლოს პოტენციურ კომისიის წევრთა რესურსი.

კონკურსანტთა შორის ქალი იყო 19 215 (76.25%), ხოლო კაცი - 5 985 (23.75%). კონკურსანტებიდან საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება უფიქსირდებოდა 19 199 პირს (76.19%). 11 446 კონკურსანტი (45.42%) იყო 30-50 წლის ასაკის, ხოლო 10 545 (41.85%) 51 წლიდან ზევით. კონკურსანტთა მხოლოდ 12.73%-ს (3 209) შეადგენდნენ 18-29 წლის ახალგაზრდა თაობის წარმომადგნელები.[47]

2020 წლის 11-15 სექტემბრის პერიოდში ძირითად საოლქო საარჩევნო კომისიებში ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ სხდომები.

ნიშანდობლივია, რომ საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის ექვსი წევრის არჩევის უფლებამოსილება ჰქონდა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერდა, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ ხუთი წლის ვადით არჩეული სამი წევრი მაინც. არჩევის პროცედურაში მონაწილეობა ეზღუდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, თუ ის

45 იხილეთ ცესკოს განკარგულება №69/2020 - 2020 წლის 1 სექტემბერი

46 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/120241-tseskos-sainformatsio-gantskhadeba-saubno-saarchevno-komisiis-tsevrta-archevis-shesakheb

47ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/120093-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrobis-msurvel-kandidatta-registratsiis-vada-amoitsura

იყო შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი.[48]

მისასალმებელია ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გაცემული რეკომენდაცია, რომელიც მათ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების გარდა, ცესკოს მიერ შემუშავებული სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების გათვალისწინებას მოიცავდა.[49] ამ ძალისხმევის მიუხედავად, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები საუბნო საარჩევნო კომისიების ზოგიერთი წევრის პოლიტიკურ მიკერძოებულობაზე და შერჩევის პროცესში ნეპოტიზმის არსებობაზე მიუთითებდნენ.

ამავდროულად კანონოთ იკრძალებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული.[50] თუმცა 12-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ სამწუხაროდ კომისიის წევრებად აირჩია ისეთი პირები,[51] რომლებიც ბოლო საერთო არჩევნებზე იყვნენ პარტიის მიერ გარკვეული ვადით დანიშნული კომისიის წევრები. აღნიშნულის გამო შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს მოუწიათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის თაობაზე გამოცემული განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და ახალი კონკურსის გამოცხადება. ჩვენი აზრით კონკურსის შემჭიდროებული ვადებისა და შესაბამისი ტექნიკური/პროგრამული ხარვეზის გამო, საოლქო საარჩევნო კომისიებმა სრულფასოვნად ვერ მოიკვლიეს აღნიშნული გარემოებები, თუმცა პრობლემა კანონიერი გზით მალევე აღმოიფხვრა.

ამავდროულად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები, საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალიწინებული აკრძალვის გამოყენებისას, ყურადღებას ამახვილებდნენ ბოლო საერთო არჩევნებზე პარტიიდან დანიშნული კომისიის წევრად ყოფნის ფაქტზე.[52] საარჩევნო კოდექსის მიხედვით საერთო არჩევნები განმარტებულია, როგორც მორიგი ან რიგგარეშე არჩევნები. შესაბამისად უმრავლესობა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საერთო არჩევნებად მიჩნეულ იქნა 2018 წლის 28 ოქტომბერს გამართული საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. გამონაკლისი იყო მარნეულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ხულოს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები, რომლებშიც საერთო არჩევნებად მიჩნეულ იქნა 2019 წლის 19 მაისის გამართული მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები. აღნიშნულმა გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია ჩართულ მხარეებში, რიგ შემთხვევაში საჩივარიც იქნა შეტანილი საარჩევნო ადმინისტრაციაში.[53]

48 საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ CDD-ისთვის მოწოდებული ინფორმაციით, იმ კანდიდატების რაოდენობამ რომლებიც იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთან ინტერესთა კონფლიქტში, შეადგინა 89. ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ახალქალაქის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში (13 კანდიდატი). შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიების შესაბამისმა წევრებმა კანდიდატებთან ოჯახური კავშირის გამო თავი შეიკავეს შერჩევის პროცესში მონაწილეობისგან.

49 იხილეთ ვრცლად: https://cesko.ge/geo/list/show/119945-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrta-shesarchevi-konkursi-gamotskhadda-?fbclid=IwAR0ooxQAI6IGuhC-jlfe2Q50qgtSWCiVp6oqjcX_wnu6xDBuElMz9Bb-tKo

50 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი

51 მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, გურჯაანის, მცხეთის, რუსთავის, მარნეულის, ბოლნისის, ამბროლაურის, ბათუმის, ხელვაჩაურისა და ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიები.

52 კონკურსში მონაწილე 25 201 კონკურსანტიდან 892 (3.54%) სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის ამოღებულ იქნა, ვინაიდან ისინი ბოლო საერთო არჩევნებზე იყვნენ დანიშნული პარტიის მიერ

53 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიამ 94 საუბნო საარჩევნო კომისიაში აირჩია ისეთი წევრები, რომელებიც 2018 წლის მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში სხვადასხვა საუბნო კომისიაში პოლიტიკური პარტიების მიერ იყვნენ დანიშნულნი. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიამ განმარტა, რომ აღნიშნული

საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების მოქმედი წესის ძირეული გადახედვა და კანონით კანდიდატების შერჩევის/შეფასების ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი იგივე დარჩება მნიშვნელოვანია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის უფრო მკაფიო რეგულირება, რომელიც ეხება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური წარსულის მქონე პირის არჩევის დაუშვებლობას.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის ხარისხისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა, საუბნო სარჩევნო კომისიის წევრების არჩევისას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასარჩევი პირების პოლიტიკურ წარსულს არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ბოლო საერთო არჩევნების, არამედ განსაკუთებით ბოლო რამდენიმე არჩევნების ჭრილში.

შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისათვის შემუშავებულ იქნას ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მარტივი მექანიზმი. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ელექტრონული სწავლებისა და შეფასების სისტემა, რომლიც გავლის აუცილებლობაც კანონით იქნება გათვალისწინებული.

კანონმდებლობის მიხედვით უფლებამოსილ პარტიებს, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის მიზნით, 21 სექტემბერის ჩათვლით უნდა მიემართათ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის. 3 657 საარჩევნო უბნიდან პარტიებმა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კომისიის წევრები დანიშნეს ყველა საარჩევნო უბანზე, პარტიამ „ევროპული საქართველო“ - 3 656 საარჩევნო უბანზე, პარტიამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 3625 საარჩევნო უბანზე.[54]

2020 წლის 28-30 სექტემბერს საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები გაიმართა. სხდომები, ყველა - 3 657 საარჩევნო უბანზე იქნა მოწვეული და 3 649 საარჩევნო უბანზე ჩატარდა. 8 საარჩევნო უბნიდან, სადაც სხდომა არ ჩატარებულა, ორგან არ შედგა კვორუმი (ესწრებოდა კომისიის 7 წევრზე ნაკლები), ხოლო 6 საარჩევნო უბნის წევრები პანდემიიდან გამომდინარე, იმყოფებოდნენ თვითიზოლაციაში. აღნიშნული სხდომები ხელახლა იქნება მოწვეული.[55] კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ სხდომებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა კომისიის ხელმძღვანელი პირები (თავმჯდომარე/მოადგილე/მდივანი) აირჩიეს.

საუბნო სარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების არჩევის პროცესმა ოპოზიციური პარტიების უკმაყოფილება გამოიწვია,[56] რაც რამდენიმე საარჩევნო

კანონდარღვევას არ წარმოადგენდა, რამეთუ მათთვის 2019 წლის ზუგდიდის მერის რიგგარეშე არჩევნები ითვლებოდა ბოლო საერთო არჩევნებად.

54 იხილეთ ვრცლად: https://cesko.ge/geo/list/show/120718-informatsia-saubno-saarchevno-komisiebis-pirveli-skhdomebisa-da-tavmdjdomare/moadgile/mdivnis-archevis-protsesis-shesakheb-statistika-2-oqtomberis-mdgomareobit;

55 Ibid.

56 მარნეულში საოლქო საარჩევნო კომისიასთან ერთმანეთს ენმ-სა და „ოცნების“ მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ https://publika.ge/marneulshi-saolqo-saarchevno-komisiastan-ertmanets-enm-sa-

ოლქში მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებასა და ძალადობაშიც კი გადაიზარდა.[57] მომხდარს გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე და „ნაციონალური მოძრაობა“ პროვოკაციაში დაადანაშაულა. ცესკომ რამდენიმე ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ოპოზიცია საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობისთვის დაგმო.[58] აღნიშნულთან დაკავშირებით

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა (CDD) განცხადება გაავრცელა და მხარეებს საარჩევნო პროცესის ნორმალიზებისა და ქცევის კოდექსის ძირითადი პრინციპების დაცვისკენ, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებს ინციდენტების მიუკერძოებლად, დროულად და სრულყოფილად გამოძიებისკენ მოუწოდა.[59]

პირველ სხდომებზე, საუბნო საარჩევნო კომისიის პოზიციაზე ძირითადად არჩეულ იქნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შერჩეული (უბნების 88,1%) და პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული წევრები (უბნების 11.9%). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2020 წლის არჩევნებზე კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრის არჩევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, 2016-2018 წლებში გამართულ საერთო არჩევნებთან შედარებით.[60] პოლიტიკური პარტიებიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე არჩეულ იქნა პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული წევრი - 16.02%; პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დანიშნული წევრი - 0.14%; პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრი - 0.05%; პ/გ „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნული წევრი - 0.03%. პოლიტიკური პარტიებიდან საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის პოზიციაზე არჩეულ იქნა პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ დანიშნული წევრი - 12.76%; პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ დანიშნული წევრი - 0.08%; პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრი - 0.03%; პ/გ „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნული წევრი - 0.03%.

ნიშანდობლივია ცესკოს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალურ ჯგუფებად შესაძლო გარდაქმნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება,[61] რომლის მიხედვითაც თუ კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდებოდა, საუბნო საარჩევნო კომისია სპეციალურ ჯგუფად გარდაიქმნებოდა და კენჭისყრის ჩატარების უფლება ენიჭებოდა. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას სპეცჯგუფის წევრების დამატების შესაძლებლობა ეძლეოდა.

da-ocnebis-mkhardamcherebi-daupirispirdnen/
„ნაციონალური მოძრაობა“ ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას გაყალბების დაწყებაში ადანაშაულებს https://www.radiotavisupleba.ge/a/30865940.html
57 აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო.
58 იხილეთ ცესკოს განცხადება https://cesko.ge/geo/list/show/120577-gantskhadeba-saarchevno-administratsiis-diskreditatsiis-mtsdelobebtan-dakavshirebit
59 იხილეთ CDD-ის განცხადება: https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3448596491872929

60 პ/გ „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული კომისიის წევრი არჩეულ იქნა თავმჯდომარის პოზიციაზე: 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე - უბნების 8.58%-ში; 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე - უბნების 5.44 %-ში; 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - უბნების 8,2%-ში.
61 იხილეთ ცესკოს დადგენილება №48/2020 - 2020 წლის 21 ოქტომბერი

ცესკომ, საარჩევნო კომისიების წევრთათვის, შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელსაც 30 სექტემბერს მოეწერა ხელი. კოდექსზე ხელმოწერით კომისიების წევრები შეთანხმდნენ, რომ იმოქმედებდნენ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით და საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებოდნენ სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები.[62] თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა საუბნო საარჩევნო კომისიის წერების პარტიულ ტრენინგებზე დასწრების ფაქტები,[63] რაც გარკვეულწილად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა კომისიის წევრების მიუკერძოებლების ხარისხს.

იმისათვის, რომ კოდექსი იყოს ეთიკური პრინციპებისა და ქცევის სტანდარტების დამკვიდრებისკენ მიმართული ქმედითი დოკუმენტი, სასურველია იგი მოიცავდეს ადექვატურ სანქციებს და გააჩნდეს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი.

სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნები და კომისიები

2020 წლის 2 ივლისს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად,[64] შეიცვალა სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნისთვის საჭირო ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობა, კერძოდ: ცესკო უფლებამოსილი იყო სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნები შეექმნა არანაკლებ 50 (ნაცვლად 20-ისა) და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის.[65] მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ვითარება იყო ახალი კორონავირუსის გავრცელების კუთხით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, ცესკომ საზღვარგარეთ 39 სახელმწიფოში, 57 საარჩევნო უბანი შექმნა, მათ შორის საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის ცესკომ შექმნა ორი საარჩევნო უბანი: №1 საზღვარგარეთის ბაგრამის საარჩევნო უბანი „ბაგრამის საავიაციო ბაზა“ და №2 საზღვარგარეთის მაზარი- შარიფის საარჩევნო უბანი „ბაზა მარმალი“.

ცესკომ, 3 სექტემბერს, საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური ჯგუფების შექმნისა და მათი წევრების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების თაობაზე. კონკურსისა და პარტიების მიერ კომისიის წევრების დანიშვნის შედეგად №1 საზღვარგარეთის ბაგრამის საარჩევნო უბანზე „ბაგრამის საავიაციო ბაზა“ შექმნილი სპეციალური ჯგუფი დაკომპლექტდა 10 წევრისგან (5 ცესკოს მიერ არჩეული და 5 პარტიების მიერ დანიშნული), ხოლო №2 საზღვარგარეთის მაზარი-შარიფის საარჩევნო უბანზე „ბაზა მარმალი“ შექმნილი სპეციალური ჯგუფი ასევე 10 წევრისგან (6 ცესკოს მიერ

62 ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი https://cesko.ge/geo/list/show/120656-tsentraluri-saolqo-da-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrebma-etikis-kodeqss-moatseres-kheli-

63 აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა წყალტუბოში, რომელიც მთავარი არხის სიუჟეტშიც მოხვდა https://mtavari.tv/news/18035-saidumlo-treningi-saarchevno-komisiis-cevrebs

64 საქართველოს 2020 წლის 2 ივლისის ორგანული კანონი №6723 – ვებგვერდი, 03.07.2020წ.

65 ცვლილება შევიდა საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტში. წინა რედაქციით ცესკო უფლებამოსილი იყო სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნები შეექმნა არანაკლებ 20 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის.

არჩეული და 4 პარტიების მიერ დანიშნული). სპეციალური ჯგუფების წევრებმა გაიარეს პროფესიული გადამზადების კურსი, რომელიც განახორციელა სწავლების ცენტრმა.[66]

2020 წლის 28-30 სექტემბერს ცესკომ 38 სახელმწიფოში შექმნილი 55 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ შექმნილი უბნების ფუნქციონირება დამოკიდებული იყო მოცემული დროისთვის კონკრეტულ ქვეყანაში პანდემიის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე. 330 ვაკანტური ადგილზე სულ 470 კონკურსანტის განაცხადი დარეგისტრირდა. ამასთან, 5 საარჩევნო უბანზე განაცხადი საერთოდ არ შესულა, არსებულ 6 ვაკანსიაზე ნაკლები განაცხადი შევიდა 7 საარჩევნო უბანზე, ზუსტად 6 განაცხადი შევიდა 3 საარჩევნო უბანზე, ხოლო 40 საარჩევნო უბანზე განაცხადების რაოდენობა 6-ს აღემატებოდა.

ცესკომ საზღვარგარეთ შექმნილ 49 საუბნო საარჩევნო კომისიაში სახელობითი კენჭისყრით აირჩია 242 წევრი, ხოლო 34 საუბნო საარჩევნო კომისიაში 88 ვაკანტურ ადგილზე გამოაცხადა ხელახალი შესარჩევი კონკურსი, რომელშიც 118 კონკურსანტის განაცხადი დარეგისტრირდა (თუმცა 16 პირი ვერ აკმაყოფილებდა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას). საბოლოოდ 88 ვაკანტურ ადგილზე 79 კანდიდატი შეირჩა, ხოლო 9 ვაკანსია შეუვსებელი დარჩა. უფლებამოსილმა პოლიტიკურმა პარტიებმა დანიშნეს კომისიის 200-მდე წევრი. ამავდროულად კომისიის წევრთა რაოდენობის ნაკლებობის გამო უფლებამოსილება შეუწყდათ 7 სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას და მათი ფუნქციის შესრულება დაევალა ცესკოს მიერ არჩეული და უფლებამოსილი პარტიების მიერ დანიშნული პირებისაგან შექმნილ დროებითი ჯგუფებს.[67]

ცესკოს თავმჯდომარის მოწვევით სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები გაიმართა 13-17 ოქტომბრის პერიოდში, სადაც არჩეულ იქნა საუბნო საარჩევნო კომისიის/ დროებითი ჯგუფის ხელმძღვანელი პირები.

ცესკომ, 19 ოქტომბერს, პანდემიით გამოწვეული არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისა და დროებითი ჯგუფების სპეციალურ ჯგუფებად გარდაქმნის შესახებ.[68]

საბოლოოდ არჩევნების ჩასატარებლად, საზღვარგარეთ 38 სახელმწიფოში, სრულ მზადყოფნაში იყო 52 საარჩევნო (მათ შორის 2 ავღანეთში) უბანი.[69] სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა - 66 217 (მათ შორის საზღვარგარეთ მისამართზე რეგისტრირებული 14 170).

66 საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების უზრუნველყოფისთვის შექმნილი სპეციალური ჯგუფის წევრების ტრენინგი http://electionreforms.ge/geo/list/show/3016-sazghvargaret-dislotsirebul-saqartvelos-sheiaraghebul-natsilebshi-archevnebis-uzrunvelkofistvis-sheqmnili-spetsialuri-djgufis-tsevrebis-treningi

67 იხილეთ ცესკოს განკარგულება №268/2020 - 2020 წლის 14 ოქტომბერი

68 იხილეთ ცესკოს განკარგულება №277/2020 - 2020 წლის 19 ოქტომბერი

69 ცესკოს 28 ოქტომბრის №352/2020 განკარგულებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შექმნილი 3 საარჩევნო უბანი გაუქმდა, ხოლო ცესკოს 30 ოქტომბრის №358/2020 განკარგულებით, საბერძნეთის რესპუბლიკის ქ. სალონიკში შექმნილი ორივე საარჩევნო უბანი გაუქმდა.

სპეციალური საარჩევნო უბნები კარანტინსა და თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის

ცესკომ, 19 ოქტომბერს, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით განსახორციელებელი რიგი საარჩევნო ღონისძიებები და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები განსაზღვრა.[70] მიღებული დადგენილების მიხედვით მუნიციპალიტეტებში, საოლქო საარჩევნო კომისიების მოქმედების საზღვრებში, იქმნებოდა არანაკლებ ერთ საარჩევნო უბანი და ფორმირდებოდა სპეციალურ ჯგუფები, რომლებსაც უნდა მოეხდინათ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და კარანტინში მყოფ ამომრჩევლებთან საარჩევნო ყუთის მიტანა.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ პოლიტიკური ვნებათაღელვა და დაძაბულობა გამოიწვია, რამეთუ გადაწყვეტილების მიხედვით კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში მოსახვედრად 3 დღიანი ვადა (24-26 ოქტომბერი) იყო განსაზღვრული. გარდა ამისა, დადგენილების მიხედვით სპეცჯგუფის წევრად შეიძლება არჩეულიყო/დანიშნულიყო საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რაც უფლებამოსილი პირების მიერ სასამართლოში იქნა გასაჩივრებული.

ცესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად თვითიზოლაციაში ყოფნის შემთხვევაში, გადასატანი ყუთით სარგებლობისთვის მოქალაქეებს თავად უნდა მიემართათ ცესკოს ცხელი ხაზისთვის, თუმცა ისინი გადასატანი ყუთით სარგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ, თუ მათი მონაცემები დაემთხვეოდა შესაბამისი უწყებებიდან ცესკოსთვის მიწოდებულ სიებს. კოვიდ-ინფიცირებულების შემთხვევაში კი ცხელ ხაზზე დარეკვა საჭირო არ იყო და მათ მონაცემები ცესკოსთვის ჯანდაცვის სამინისტროს უნდა გადაეცა.

ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ თვითიზოლაციაში მყოფი პირებისთვის ცესკოს მიერ შემუშავებული სისტემა, ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ მანიპულაციებს შეიცავდა.[71] სასამართლოს განაჩენის და შეზღუდულ ვადებთან დაკავშირებით საჯარო კრიტიკის პასუხად ცესკომ მოხსნა ასაკობრივი შეზღუდვა და გაზარდა ვადა სახლიდან ხმის მიცემის რეგისტრაციისთვის 27 ოქტომბრის 14:00 სთ-მდე.[72] 27 ოქტომბერს ცესკოს შენობის წინ გამართული საპროტესტო აქციისა და ოპოზიციის წარმომადგენლების ცესკოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ მიმართვის ვადა საბოლოოდ 27 ოქტომბრის 18.00 საათამდე გახანგრძლივდა.[73]

ცესკოს გადაწყვეტილებით სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით 127 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა,[74]

70 იხილეთ ცესკოს დადგენილება №45/2020 - 19.10.2020

71 ვრცლად იხილეთ: https://netgazeti.ge/news/492424/
72 იხილეთ ცესკოს დადგენილება №49/2020 - 26/10/2020
73 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/121989-tvitizolatsiashi-mkofi-amomrchevlebistvis-gadasatani-kutis-motkhovnis-vada-gakhangrdzlivda
74 იხილეთ ცესკოს განკარგულება №275/2020 - 19.10.2020

რომელთა დაკომპლექტებისთვის კონკურსი გამოცხადდა.[75] შექმნილი 127 სპეციალური საარჩევნო უბნიდან, 18 სპეცუბანზე საკონკურსო განაცხადი საერთოდ არ იქნა წარდგენილი, ხოლო 11 სპეცუბანზე ვაკანტურიადგილებისშევსებავერმოხერხდა, შესაბამისად ცესკოს მოუწია ხელახალი კონკურსის გამოცხადება.[76] ხელახალ კონკურსში მონაწილე 789 კანდიდატიდან, ცესკომ, სახელობითი კენჭისყრით, აირჩია 127 სპეცჯგუფის 742 წევრი. სპეცჯგუფის წევრები დანიშნეს უფლებამოსილმა პოლიტიკურმა პარტიებმაც.[77]

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით სარგებლობა შეეძლო საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშულისათვის იმყოფებოდა სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი იყო მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებული იყო შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში. აღნიშნული პირები კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდნენ ამომრჩეველთა სპეციალური სიის მეშვეობით.

75 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/121659-konkursi-saqartvelos-parlamentis-2020-tslis-31-oqtombris-archevnebisatvis-statsionarul-samkurnalo-datsesebulebebsa-da-izolatsiashi-karantini-tvitizolatsia-mkofi-amomrchevlebis-2020-tslis-31-oqtombris-archevnebshi-monatsileobis-uzrunvelkofisa-da-mati-sakov

76 ხელახალი კონკურსის შესახებ ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/121825-khelakhali-konkursi-spetsialuri-djgufebis-tsevrebis-vakanturi-adgilebis-dasakaveblad

77 127 უბნიდან სპეცჯგუფის წევრები დანიშნა: „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ"- 127 სპეცუბანზე (379 წევრი); „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა" - 127 სპეცუბანზე; „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" - 105 სპეცუბანზე და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - 62 სპეცუბანზე.

კანონის შესაბამისად ცესკომ, 10 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში, გამონაკლის შემთხვევაში 10 საარჩევნო უბანი შექმნა.[78] მათ შორის: N8 პენიტენციურ დაწესებულებაში (ორი უბანი); N16 და N12 პენიტენციურ დაწესებულებებში (ერთი უბანი); N17 პენიტენციურ დაწესებულებაში (ერთი უბანი); N5 და N6 პენიტენციურ დაწესებულებებში (ერთი უბანი); N15 პენიტენციურ დაწესებულებებში (ერთი უბანი); N10 პენიტენციურ დაწესებულებებში (ერთი უბანი); N14 პენიტენციურ დაწესებულებებში (ერთი უბანი); N2 პენიტენციურ დაწესებულებაში (ერთი უბანი) და N3 პენიტენციურ დაწესებულებაში (ერთი უბანი).[79] ამავდროულად, გამონაკლის შემთხვევაში ერთი საარჩევნო უბანი შეიქმნა ხონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.[80]

პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი 10 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა, რომელშიც 8 საარჩევნო უბნის 48 კონკურსანტის განაცხადი იქნა წარდგენილი (მათგან 3 პირი ვერ აკმაყოფილებდა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნას). ცესკომ 45 კონკურსანტიდან 37 აირჩია და 3 საარჩევნო უბანი სრულად, ხოლო 5 საარჩევნო უბანი - 5 კაციანი შემადგენლობით დააკომპლექტა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ 2 პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ უბანზე (№08.10.113 და №22.58.68) საუბნო

78 ცესკოს განკარგულება №250/2020 - 10.10.2020

79 აღნიშნულ საარჩევნო უბნებზე ხმას აძლევდნენ ხმის უფლების მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული პირები და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლები, ჯამში 5750-დე პირი.

80 ხონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში განთავსებული იყო 230-მდე ამომრჩეველი.

საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა, ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება №08.10.112 და №23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტისა და მათი შემადგენლობიდან 4 სპეციალური ჯგუფის (№08.10.112, №08.10., №22.58.68 და №23.59.127) შექმნის შესახებ.[81]

ცესკოს თავმჯდომარის მოწვევით,[82] 15 ოქტომბერს, პენიტენციურ დაწესებულებებში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების/სპეცილური ჯგუფების პირველი სხდომები გაიმართა, სადაც არჩეულ იქნა ხელმძღვანელი პირები (თავმჯდომარე/მოადგილე/მდივანი).

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პროფესიული მომზადება

საარჩევნო კოდექსით დადგენილი კენჭისყრის პროცედურების ზედმიწევნით და ზუსტად განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა პროფესიული მომზადებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. შესაბამისად 2020 წლის 24 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის შემუშავებული ტრენინგების განახლებული კონცეფციის შესაბამისად,[83] უზრუნველყო სასწავლო პროგრამის განხორციელება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, რომელიც პანდემიის მიუხედავად ჩატარდა 4 ეტაპად, რაც ერთობ დადებით შეფასებას საჭიროებს. ტრენინგების I და III ეტაპი საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას დაეთმო, II ეტაპზე განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების ტრენინგი, ხოლო ტრენინგების IV ეტაპი საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნების პრაქტიკულ სწავლებას დაეთმო.[84]

მიუხედავად კარგად ორგანიზებული ტრენინგებისა, საკმაოდ მაღალი იყო იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა, რომლებიც ვერ დაესწრნენ სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებს, კერძოდ:

- ტრენინგების I ეტაპზე დასწრების კოეფიციენტი იყო 73.3% (რაც იმას ნიშნავს, რომ კომისიის 11 690 წევრი არ ესწრებოდა ტრენინგებს, ძირითადად კი პარტიების მიერ დანიშნულნი. დასწრების მხრივ უფრო მეტად დაბალი აქტივობა დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში);
- ტრენინგების II ეტაპზე დასწრების კოეფიციენტი იყო 88.7% (რაც იმას ნიშნავს, რომ კომისიის ხელმძღვანელი 1 222 პირი არ ესწრებოდა ტრენინგებს);
- ტრენინგების III ეტაპზე დასწრების კოეფიციენტი იყო 69% (რაც იმას ნიშნავს, რომ კომისიის 13 583 წევრი არ ესწრებოდა ტრენინგებს. დასწრების მხრივ უფრო მეტად დაბალი აქტივობა დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლისა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში);

81 ცესკოს განკარგულება №269/2020 - 14.10.2020
82 ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება №244/2020 – 14.10.2020
83 ტრენინგების კონცეფცია 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის http://electionreforms.ge/geo/list/show/2991-saqartvelos-parlamentis-2020-tslis-31-oqtombris-archevnebistvis-shemushavebuli-saolqo/saubno-saarchevno-komisiebis-tsevrta-treningebis-kontseftsia

84 ვრცლად იხილეთ http://electionreforms.ge/geo/list/show/3057-dasrulda-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrebis-treningebi

- ტრენინგების IV ეტაპზე დასწრების კოეფიციენტი იყო 85% (რაც იმას ნიშნავს, რომ კომისიის 543 მდივანი არ ესწრებოდა ტრენინგებს).[85]

საყურადღებოა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მიხედვით (მუხლი 5.1.ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია მონაწილეობდეს და ესწრებოდეს კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებსა და ტრენინგ/სემინარებს. ამავდროულად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის/სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სწავლებებზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობა წარმოადგენს აღნიშნული წევრების დისციპლინური გადაცდომის საფუძველს, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიების მხრიდან არ იქნა გამოჩენილი შესაბამისი ინიციატივა, აღნიშნული საკითხით დაინტერესება (რის უფლებაც კანონით ჰქონდა მინიჭებული) და კანონის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სამწუხაროდ საუბნო საარჩევნო კომისიების იმ წევრებისათვის, რომლებიც ვერ დაესწრნენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს, დამატებითი ტრენინგები არ განხორციელებულა, მაშინ როდესაც წინა წლების ტრენინგების კონცეფცია მსგავს აქტივობებს ითვალისწინებდა. ამავდროულად, სწავლების ცენტრის ტრენინგების კონცეფცია სამწუხაროდ არ ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამას კარანტინსა და თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩეველთა ხმის უფლების რეალიზებისთვის შექმნილი სპეციალური ჯგუფებისა, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიებისა და სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის.

85 იხილეთ ვრცლად: საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებზე დასწრების სტატისტიკა

საქართველოს საარჩევნო კოდექსით სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფუნქციებში შედის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და დაინტერესებულ პირთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. შესაბამისად სამომავლოდ მნიშვნელოვანია, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლებისა და გადამზადების ერთიანი სისტემის განვითარება და ტრენინგების კონცეფციაში სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების გათვალისწინება.

ამავდროულად მნიშვნელოვანია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებზე დასწრების ვალდებულების მკაფიო რეგულირება და კონტროლი ზემდგომი საარჩევნო კომისიების მხრიდან.

საარჩევნო ადმინისტრაციის როლი ონლაინ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში

აღსანიშნავია ცესკოს ძალისხმევა და განხორციელებული აქტივობები, რომელიც უკავშირდება კიბერ შეტევებისგან დაცვასა და ონლაინ დეზინფორმაციასთან ბრძოლას.

2020 წლის წინასაარჩევნო გარემოს ონლაინ დეზინფორმაციისგან დასაცავად, ცესკომ საარჩევნო პროცედურების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები დაიწყო, კერძოდ: სოციალურ ქსელში გაავრცელა ვიდეოები საარჩევნო პროცედურების შესახებ, გაიმართა ცესკოს თავმჯდომარის პირდაპირი ჩართვა

მოქალაქეებთან უშუალო კონტაქტის დამყარების მიზნით. პირველად მოხდა, რომ ცესკომ გადაამოწმა მასმედიაში მის წინააღმდეგ არასწორად გაშუქებული ინფორმაცია, საპასუხოდ კი მოამზადა და გაავრცელა სწორი ინფორმაცია პოსტერების სახით, პარალელურად, მუდმივ რეჟიმში მართავდა ბრიფინგებს და სხვ. 2018 წლის წინასაარჩევნო გარემოსგან განსხვავებით, ცესკო სოციალურ ქსელში გააქტიურდა, სადაც მისი მიზანია არ მოხდეს საკითხების იმგვარად ინტერპრეტირება, რომ ამომრჩეველს საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ შეექმნას არასწორი წარმოდგენები.

აღსანიშნავია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერა, რომელთან ერთადაც ცესკომ 2020 წლის 1 ოქტომბრიდან აამოქმედა ინფორმაციის დაცულობის ცენტრი.[86] ცენტრი მედია მონიტორინგს ახორციელებდა და მისი მიზანი დეზინფორმაციის უარყოფა და ამომრჩევლებისათვის საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით სწორი ინფორმაციის მიწოდება იყო. ცენტრში მომუშავე პერსონალმა გაიარა სპეციალური მომზადების კურსი, ისინი ტრადიციულ და ონლაინ მედიაში ეძებენ დეზინფორმაციულ კონტენტს და შესაბამის ანგარიშებსა და კვლევებს აქვეყნებენ.

ამავდროულად სამთავრობო, მედიისა და სამოქალაქო სექტორის საიტებზე 2019 წელს განხორციელებული კიბერშეტევის შემდეგ, საარჩევნო ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნით, ცესკომ USAID-თან და აშშ-ს საელჩოსთან ერთად განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების სრულად გადაიარაღება.

მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ გააძლიეროს საკუთარი შესაძლებლობები დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების საპასუხოდ და საარჩევნო პროცესების მავნე ჩარევებისგან დასაცავად. უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიასა და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყალბი, დეზინფორმაციული თუ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი. საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციამ დაგეგმოს და განახორციელოს სიმართლის შემცველი, საინტერესო საინფორმაციო კამპანიები ონლაინ პლატფორმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, უნდა გაავრცელოს სიმართლე და სწორი ინფორმაცია.

არჩევნების უსაფრთხოება და შსს-ს როლი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს ქვეყნის სამართალდამცავ უწყებას. სამინისტროს უმთავრესი მიზანია სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება, მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, მათი უფლებების დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება დანაშაულის პრევენცია, ეფექტიანი რეაგირება, ხარისხიანი მომსახურების გაწევა და საზოგადოებასთან მჭიდრო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობებისჩამოყალიბება. სამინისტრო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

86 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/120876-tseskoshi-informatsiis-datsulobis-tsentri-amoqmedda?fbclid=IwAR02zc8y1LNHRli-Ty93kWaVRaWYn2d8PQjUuqf5Fx3gwVxufuEXLC-4DCYg

ზემოაღნიშნული ვალდებულებები ორმაგდებაროცა ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებები იგეგმება, მაგალითად, როგორიცაა არჩევნები. მისი პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ქვეყანაში გარკვეულ ადგილებში წარმოიქმნას დაპირისპირებათა კერები რისი აღმოფხვრაც პირდაპირ შსს უფლება-მოვალეობაა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურსაარჩევნოკომისიასადაშინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.[87] მემორანდუმი, არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, მხარეთა თანამშრომლობას და კოორდინირებულ მუშაობას, ინფორმაციის კოორდინირებულ გაცვლას, ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ითვალისწინებდა.

მიგვაჩნია, რომ ურთიერთთანამშრომლობის მსგავსი პრაქტიკა, არჩევნების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დადებით შეფასებას იმსახურებს.

ამავდროულად მემორანდუმის ფარგლებში, ცესკოს სწავლების ცენტრმა, საქართველოს შინაგანსაქმეთასამინისტროსსტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სხვა საპოლიციო ქვედანაყოფების მოსამსახურეების ინფორმირების მიზნით შეიმუშავა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, 2020 წლის 7 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით, განახორციელა ონლაინ ტრენინგები შსს-ს საპოლიციო დანაყოფების 4000-ზე მეტი თანამშრომლისთვის.[88]

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საქართველოსშინაგანსაქმეთასამინისტრომ შემუშავდა საარჩევნო პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომლითაც განისაზღვრა წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე სამინისტროს ვალდებულებები, სამინისტროს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები, კანონით დადგენილ აკრძალვები და შეზღუდვები.[89] შსს-ს მოსამსახურის მიერ ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ითვალისწინებდა დისციპლინურ და სხვა სახის პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია მომავალი არჩევნებისათვის თანასწორი გარემოს შექმნა, რათა მხარეებმა კამპანიის წარმოება შეუფერხებლად შეძლონ. დაცული უნდა იყოს კამპანიის მონაწილეთა უსაფრთხოება და უფლებები. ამავდროულად აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის ძირითად უფლებათა გათვალისწინებით, მასების მართვის/კონტროლის სფეროში.

87 ვრცლად იხილეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

88 ვრცლად იხილეთ http://electionreforms.ge/geo/list/show/3025-sainformatsio-sastsavlo-programa-politsielebistvis-archevnebis-usafrtkhoebis-sakitkhebze

89 შსს-ს მინისტრის ბრძანება №129 - 2020 წლის 26 აგვისტო. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ცვლილება შევიდა „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში და განახლებული რედაქციით დამტკიცდა საარჩევნო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს და სავალდებულოა შესასრულებლად სამინისტროს სისტემის ყველა მოსამსახურისათვის.

ამომრჩეველთა ინფორმირება

საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღის გამოცხადების დღიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია, რომელსაც აწარმოებდნენ საარჩევნო პროცესში ჩართული ძირითადი მხარეები: ცესკო, საარჩევნო სუბიექტები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მასმედია და რიგი სახელმწიფო უწყებები.

საინფორმაციო კამპანია ძირითადად წარიმართებოდა მასობრივი ინფორმაციის საშულებების გამოყენებით, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით, ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების გამოცემით და გავრცელებით, ხმის გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენებით ან სხვა ფორმით. ინფორმაცია აქტიურად ვრცელდებოდა ელექტრონულ სივრცეში, ვებ-გვერდების და სოციალური ქსელების გამოყენებით.

ინტერნეტ მომხმარებლისთვის ფუნქციონირებდა საინფორმაციო ვებ-გვერდები,[90] სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ გაცნობოდნენ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეხედულებებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე და თემატურად შეედარებინათ სხვადასხვა პარტიის პროგრამები და შეხედულებები. აღნიშნული ვებ-გვერდები წარმოადგენდა ინფორმაციის კარგ რესურს საქართველოს მოქალაქეებისთვის, რაც ეხმარებოდა მათ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაში.

მნიშვნელოვანია და დადებითად შეიძლება შეფასდეს ცესკოს მიერ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ჩართული მხარეებისა და ამომრჩევლების დროულად ინფორმირების მიზნით საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით ფუნქციონირებდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ვებგვერდი,[91] რომელიც სრულად ადაპტირებულია უსინათლო და მცირე მხედველობის მქონე პირებისთვის. ამომრჩევლებისა და არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია როგორც საარჩევნო უფლებების,[92] აგრეთვე განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურების შესახებ.[93] მომზადდა საინფორმაციო ვიდეო და აუდიო რგოლები (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე), რომლებიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე და აქტიურად ვრცელდებოდა როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ ტელევიზიებსა და რადიოში.[94]

საარჩევნო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა ცესკოსთან თანამშრომლობით 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ინტენსიური საინფორმაციო კამპანია განახორციელა, რომლის ფარგლებშიც ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს (საარჩევნო

90 https://partiebi.ge/; https://kompasi.partiebi.ge/; https://chemikhma.ge/; https://edu.aris.ge/elections2020; http://www.ivote.ge/

91 https://cesko.ge/

92 ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ https://cesko.ge/geo/list/show/119606-vesaubrebit-amomrchevlebs-2020

93 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/121970-dagvikavshirdit-26-oqtombris-2200-saatamde-tsesko-agrdzelebs-tvitizolatsiashi-mkofi-amomrchevlebis-informirebas

94 https://cesko.ge/geo/static/3457/2020-tslis-31-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-video-rgolebi

სუბიექტების, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლები, პოტენციური კანდიდატი ქალები, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები) მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხზე.ამავდროულადდადებითშეფასებას იმსახურებს სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული დისტანციური საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კენჭისყრის დღის პროცედურები", რომელიც განთავსებული იყო ცესკოს ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.[95]

ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით, ამომრჩევლის ინფორმირებისთვის გამიზნული მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. საინფორმაციო მასალები მომზადდა და გავრცელდა ენობრივი, ტრადიციულ/რელიგიური ბარიერებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით. ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ საგრანტო კონკურსში აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა რამდენიმე საგრანტო პროექტი.

მიუხედავად ცესკოს ძალისხმევისა,[96] მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის დონე საარჩევნო პროცესების და ინიციატივების შესახებ, თუმცა 2020 წელს დაფიქსირდა ამომრჩეველთა გაზრდილი აქტივობა, გასულ წლებში გამართულ საერთო არჩევნებთან შედარებით.[97]

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფოდა თანხა, რომლის მიზანი პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო. თანხა ირიცხებოდა ფონდში, რომლის ფუნქციასაც საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი ასრულებდა.[98] ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე სწავლების ცენტრმა ორგანიზება გაუწია საგრანტო კონკურსს, რომლის მიზანი იყო ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.[99]

მნიშვნელოვანია საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობით საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაძლიერება და საარჩევნო პროცესებში მართი ჩართულობის ხელშეწყობა. ასევე, ხელისუფლებამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლის ინტერესებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა იფიქროს ხმის მიცემის ალტერნატიული საშუალებების დანერგვაზე.

95 https://electiontraining.cec.gov.ge/

96 ცესკოს საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მიმართულებები მათ შორის ითვალისწინებდა საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პერიოდში და უშუალოდ კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისების შესახებ.

97 საზღვარგარეთ უბნებზე არჩევნებში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი: 2020 წელს - 18,5%, 2018 წელს - I ტური 9,6%, II ტური 15,3%; 2016 წელს - 9,8%.

98 საქართველოს ორგანული კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" 2020 წლის 2 ივლისის განხორციელებული ცვლილებებით (ორგანული კანონი №6724 – ვებგვერდი, 03.07.2020წ.), ფონდის ფუნქცია გაუქმდა.

99 სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 44 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია დაფინანსების ბიუჯეტი შეადგენდა 755 669.75 ლარს.

CDD-ის ჩართულობა ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების პროცესში

ამომრჩეველთა განათლება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ორგანიზაციას ამ კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი აქვს განხორციელებული.[100]

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით CDD-იმ საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციასთან (ACAG) პარტნიორობით განახორციელა პროექტი - „წადი არჩევნებზე, შენი ხმა მნიშვნელოვანია“, რომლის მიზანსაც საკომუნიკაციო მესიჯის მატარებელი პოტერების შექმნა და საზოგადოებისთვის აქტიურ მოქალაქეობასა და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო.[101]

ასევე CDD-ის Facebook გვერდზე განთავსდა ვიდეოების სერია „ნუ დაკარგავ დროს, წადი არჩევნებზე“.[102] კამპანია, მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებას საარჩევნო პროცესებში. არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები ასევე გაიმართა ლაგოდეხში საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის ბანაკში.[103]

100 იხილეთ ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ - http://cdd.ge/
101 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3499650756767502
102 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/watch/?v=1206017933107745
103 ვრცლად იხილეთ - https://bit.ly/349sY8Z

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

2020 წლის 29 ივნისს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომლის მხარდაჭერა ორგანული კანონით დადგენილი წესით დადასტურებული იქნებოდა არანაკლებ 5 000 ამომრჩევლის ხელმოწერით. აღნიშნული ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდა ყველა კვალიფიციური პოლიტიკური პარტია, ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა პარლამენტის ან ადგილობრივი თვით-მმართველობის ბოლო არჩევნებში, თუ მან ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ერთ-ერთ არჩევნებში მაინც პროპორციული სისტემით 15 000 ხმა მაინც მიიღო, აგრეთვე ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომლის მიერ წარდგენილმა ან რომლის წევრმა კანდიდატმა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების პირველ ტურში 15 000 ხმა მაინც მიიღო.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა 78-მა პარტიამ, აქედან 23 პარტიას სხვადასხვა მიზეზების გამო უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე/გაუუქმდათ რეგისტრაცია.[104] საბოლოოდ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 50 საარჩევნო სუბიექტი (55 პოლიტიკური პარტია), მათ

104 უარის ძირთადი მიზეზი: პირადი განცხადება - 5 სუბიექტი, არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი განცხადება - 6 სუბიექტი, ხარვეზის გამოუსწორებლობა - 1 სუბიექტი, განცხადების წარდგენა ვადის დარღვევით - 3 სუბიექტი, პარტიული სიის წარუდგენლობა - 7 სუბიექტი, პარტიული სიის რეგისტრაციაზე უარი - 1 სუბიექტი.
სუბიექტები რომელთაც უერი ეთქვათ რეგისტრაციაზე/გაუუქმდათ რეგისტრაცია https://cesko.ge/geo/list/show/119951-partiebi-romeltats-uari-etqvat-registratsiaze

შორის 48 პარტია და ორი საარჩევნო ბლოკი.[105]

აღსანიშნავია, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე, 2020 წელს ყველაზე მეტი პარტია იყო რეგისტრირებული არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.



არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოში დარეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებიდან:

- 29 პარტია - რეგისტრირებული იყო 2012 წლამდე;
- 9 პარტია - რეგისტრირებული იყო 2013 -2016 წლებში;
- 17 პარტია - რეგისტრირებული იყო 2017-2020 წლებში, მათ შორის 11 პარტია დარეგისტრირდა უშუალოდ 2020 წელს.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) შეფასებით 2020 წლის ივლისში მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა და საკანონმდებლო რეფორმამ ახალი პარტიების/კოალიციების ჩამოყალიბების შესაძლებლობა გააჩინა. ახალ და შედარებით პატარა პოლიტიკურ პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შანსი გაუჩნდათ, რაც მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

105 შვიდი პარტია გაერთიანდა ორ საარჩევნო ბლოკად https://cesko.ge/geo/list/show/119952-saqartvelos-parlamentis-2020-tslis-archevnebi-registrirebuli-partiebi

პასიური საარჩევნო უფლება

პასიური საარჩევნო უფლება, უკავშირდება საქართველოს მოქალაქის შესაძლებლობას არჩეული იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე. 2018 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად,[106] შეიცვალა პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობისთვის დადგენილი ასაკობრივი და ბინადრობის ცენზი, კერძოდ: საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევა შეეძლო საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან (ნაცვლად 21 წლისა), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. ამავდროულად გაუქმდა ქართული ენის ცოდნის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ცენზი. პარლამენტის წევრად არჩევა ეზღუდებოდა პირს, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა.

მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული ბინადრობის სავალდებულო ცენზი დისკრიმინაციულია და ზღუდავს პირის უფლებას არჩეული იქნას საკანონმდებლო ორგანოში. ამავდროულად კანდიდატისთვის დაწესებული ასაკობრივი ცენზი (25 წელი) საკმაოდ მაღალია, მაშინ როდესაც ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში 18 წელია.[107] მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით კანონმდებლობის გადახედვა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის ობიექტური კრიტერიუმების დაწესება.

106 საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის ორგანული კანონი №3266 – ვებგვერდი, 13.08.2018წ

107 ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსის (I.1.1.1.a.iii) თანახმად სასურველია, რომ პასიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში მოქმედებდეს იგივე ასაკობრივი ცენზი, რაც აქტიური საარჩევნო უფლების შესაძენადაა განსაზღვრული.

პარტიული სიების რეგისტრაცია

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს თითო პარტიული სიის წარდგენის უფლება ანიჭებს. კანონის შესაბამისად პარტიულ სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 120-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავდნენ პარტიები. ამავდროულად, ივლისის თვეში კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდებოდა.

საარჩევნო სუბიექტს პარტიული სია უნდა წარედგინა ცესკოს თავმჯდომარისთვის, რისთვისაც ვადა 2020 წლის 1 ოქტომბრის 18:00 საათამდე იყო განსაზღვრული. კანონით დადგენილ ვადაში და წესით პარტიული სიები წარადგინა 51 საარჩევნო სუბიექტმა, აქედან დამოუკიდებლად მონაწილე 49 პარტიამ და ორმა საარჩევნო ბლოკმა.[108] ერთ საარჩევნო სუბიექტს უარი ეთქვა პარტიული სიის რეგისტრაციაზე.[109] საბოლოოდ რეგისტრაციაში გატარდა 50 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია. პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების რაოდენობამ შეადგინა 6 882, რომელთა შორის 3 049 (44.30%) იყო ქალი და 3 833 (55.70%) - კაცი.

ამასთან, თუ საარჩევნო სუბიექტი პარტიული სიაში, ყოველ სამეულში ერთ პირს მაინც განსხვავებული სქესის წარმომადგენელს წარადგენდა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით დაფინანსებას მიიღებდა. ცესკოში რეგისტრირებული 50 საარჩევნო სუბიექტიდან, 25 სუბიექტის (ძირითადად დაბალი და საშუალო რეიტინგის მქონე პარტიები) პარტიულ სიაში დაცული იყო აღნიშნული წესი.

ნიშანდობლივია, რომ 2020 წლის 18 სექტემბერს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციისთვის პირს აღარ მოეთხოვებოდა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის წარდგენა.[110]

მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა/რეგისტრაცია

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად მაჟორიტარული სისტემით ასარჩევი პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება ენიჭებოდა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო ბლოკს ან ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

საარჩევნო კოდექსი ადგენს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის განსხვავებულ წესს, რომლის შესაბამისად ცესკომ, 2020 წლის 1 სექტემბერს, მიიღო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ

108 აღნიშნულ პარტიულ სიებში დაცული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა ყოფილიყო ქალი.

109 ცესკოს თავმჯდომარის №220/2020 განკარგულებით - 2020 წლის 9 ოქტომბერი პ/გ „ჩვენი გაერთიანებული საქართველოს“ უარი ეთქვა პარტიული სიის რეგისტრაციაზე.

110 საქართველოს 2020 წლის 18 სექტემბრის ორგანული კანონი №7163 – ვებგვერდი, 22.09.2020წ.

მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურების აღმწერი ინსტრუქცია[111] და დადგინდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარსადგენად საჭირო მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობები.[112]

მთელი საქართველოს მასშტაბით, საოლქო საარჩევნო კომისიებში, დამოუკიდებელი კანდიდატები ამომრჩეველთა 23-მა საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა, რომელთაგან კანონით დადგენილი წესით დარეგისტრირდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი 11 კანდიდატი,[113] ხოლო 12-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.[114]

აღსანიშნავია, რომ კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი გამჭირვალედ და ინკლუზიურად წარიმართა. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით სულ დარეგისტრირდა 490 მაჟორიტარი კანდიდატი, მათ შორის 106 (21.63%) ქალი და 384 (78.36%) კაცი. აქედან, პარტიების მიერ წარდგენილი იყო 479 მაჟორიტარი კანდიდატი,[115] მათ შორის 104 (21.71%) ქალი და 375 (78.28%) კაცი, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი იყო 11 კანდიდატი, მათ შორის 2 (18.18%) ქალი და 9 (81.82%) კაცი.

111 ცესკოს დადგენილება №25/2020 - 2020 წლის 1 სექტემბერი
112 ცესკოს განკარგულება №74/2020 - 2020 წლის 1 სექტემბერი
113 8 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში: №2 ვაკის; №3 საბურთალოს; №6 დიდუბე-ჩუღურეთის, №7 ნაძალადევის; №20 რუსთავი-გარდაბანის; №18 ახალქალაქი-ნინოწმინდის; №24 ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაურის და №26 ფოთი-სენაკი-ხობის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში.
114 მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებსაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე https://cesko.ge/res/docs/majoritarebi_parlamenti_uari.pdf
115 პარტიების მიერ წარდგენილ 5 კანდიდატი მოიხსნა რეგისტრაციიდან https://cesko.ge/res/docs/majoritarebi_parlamenti_moxsnili.pdf

საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრა

ცესკომ, 19 სექტემბერს, საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები წილისყრით განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ წილისყრის პროცედურა ჩატარდა კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში არჩევნების დღემდე 42 დღით ადრე. ამასთან, ცესკომ, საარჩევნო სუბიექტების საქმიანობისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით,[116] პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს მისცა შესაძლებლობა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში გამოეყენებინათ ის რიგითი ნომერი, რითაც მონაწილეობას იღებდნენ ბოლო საერთო მუნიციპალიტეტის არჩევნებში.[117] წილისყრის პროცედურები აგრეთვე ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიებში, რომლითაც განისაზღვრა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების რიგითი ნომრები.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია/სია

ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა სიების შედგენა საარჩევნო პროცესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ამომრჩევლის საარჩევნო უფლების განხორციელება.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ემუხლით, რომლის თანახმადაც „ამომრჩეველთა ერთიანი სია

116 ცესკოს განკარგულება №163/2020 - 2020 წლის 19 სექტემბერი
117 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული 58 პარტიისა და ორი საარჩევნო ბლოკიდან წილისყრის პროცესში მონაწილეობა მიიღო 47-მა საარჩევნო სუბიექტმა. 13-მა საარჩევნო სუბიექტმა კანონმდებლობის თანახმად წილისყრის პროცედურის გარეშე შეინარჩუნა რიგითი ნომერი.

არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით." აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდებოდა 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებდა საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომელებიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფებოდნენ სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი იყვნენ მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებული შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფ ამომრჩევლებს, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე ან იყვნენ რეგისტრირებული საზღვარგარეთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ამომრჩეველი იმყოფებოდა საზღვარგარეთ მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა ზემოთ აღნიშნულ ვერც ერთ მოთხოვნას, მაშინ მას, 2020 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, უნდა გაევლო რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფოში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. ინფორმაცია საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი იყო როგორც ცესკოს, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიასპორულ პორტალზე.[118]

118 ცესკოსა და საგარეო სამინისტროს ვებგვერდზე შეიქმნა სპეციალური ბანერი საზღვარგარეთ მყოფი

2020 წლის ივლისის თვეში საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად განისაზღვრა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილ, რეგისტრაცია ძალადაკარგულ და მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის დროებითი წესი.[119] არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რეგისტრაციიდან მოხსნილი ან რეგისტრაცია ძალადაკარგული ამომრჩევლები, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიყვანებოდა ბოლო რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ამომრჩეველი, რომელიც რეგისტრირებული იყო მისამართის მითითების გარეშე და რომელსაც ჰქონდა იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანილ იქნა სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ფაქტობრივი (დროებითი) საცხოვრებელი ადგილის (მისამართის) მიხედვით.

იუსტიციის სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" წამყვანი უწყებაა, რომელიც აქტიურად მუშაობს ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტებაზე. 2014 წლიდან საქართველოში ფოტოსურათიანი ბიომეტრიული საარჩევნო სია მოქმედებს.

საქართველოს მოქალაქეებისთვის https://cesko.ge/geo/static/3428/informatsia-sazghvargaret-mkofi-amomrchevlebistvis, https://mfa.gov.ge/elections.aspx; ინფორმაცია აგრეთვე განთავსდა დიასპორის პორტალზე https://gda.ge/news/sazgvargaret-gakhsnili-saarchevno-ubnebis-misamartebi

119 საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუხლი 184.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლის თანახმად, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ვალდებულია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო სიის ფორმირებისთვის საჭირო მონაცემები წელიწადში – ოთხჯერ (1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს), ხოლო საარჩევნო პერიოდში მოთხოვნის შესაბამისად გადასცეს. შესაბამისად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, 15 ოქტომბერს, ცესკოს 3 558 291 პოტენციური ამომრჩევლის შესახებ მონაცემი გადასცა. სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, ელექტრონული პირადობის მოწმობა 2 865 683 მოქალაქეზე იყო გაცემული,[120] თუმცა სიაში კვლავ რჩება 400 000-მდე ამომრჩევლის არაბიომეტრული მონაცემი.[121] აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით არაერთი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, მონაცემთა ბაზის სრულყოფისათვის და იმ მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, რომელთაც საარჩევნო სიაში მოხვედრის პრობლემა ჰქონდათ.[122]

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემების დამუშავების შემდეგ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საბოლოოდ ერთიან სიაში სულ 3 526 023 ამომრჩეველი დაარეგისტრირა, მათ შორის 14 170 ამომრჩეველი საზღვარგარეთ მისამართზე იყო რეგისტრირებული.[123]

სამწუხაროდ ამომრჩეველთა ერთიან სიაში ვერ მოხვდნენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მოახერხეს სააგენტოსათვის შესაბამის ვადებში მიმართვა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა, აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული და ამომრჩევლები, რომლებსაც უფიქსირდებოდათ პრობლემური რეგისტრაციის მისამართი (მათ შორის საზღვარგარეთის მისამართი) და ცესკომ ვერ შეძლო კონკრეტული საარჩევნო უბნისათვის მიკუთვნება.

ცესკომ უზრუნველყო ამომრჩეველთა ფოტოსურათებიანი ერთიანი და სპეციალური სიების სამაგიდო და კედლის ვერსიების არჩევნების დღისათვის მომზადება. ეროვნული უმცირესობებისათვის შესაბამისი ოლქებისა და უბნებისათვის მომზადდა ამომრჩეველთა ორენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე) და სამენოვანი (ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური) სიები.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფოტოსურათებიანი ვერსია (ელექტრონული) განთავსდა ცესკოს ვებ-გვერდზე (voters.cec.

120 ვრცლად იხილეთ: https://sda.gov.ge/?us_portfolio=17533

121 სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, 15 ივლისის მდგომარეობით, 2 956 608 საქართველოს მოქალაქე პირადობის ელექტრონულ მოწმობას ფლობდა და 220 570 ამომრჩეველი – საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტს, შესაბამისად სიაში რჩებოდა არაბიომეტრიული დოკუმენტის მქონე 372 876 პირი. წყარო: https://sda.gov.ge/?us_portfolio=17243

122 უსაბუთობის და უმისამართოების საკითხის გამო, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, 2019 წლის 1-ლი ივლისიდან პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია გამოცხადდა, რომელიც 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე გაგრძელდა. ბრძანების თანახმად, გარკვეული კატეგორიის პირები მოწმობის მიღებისას განთავისუფლდნენ როგორც დოკუმენტის, ისე ფოტოსურათის გადაღებისათვის განსაზღვრული საფასურის გადახდისგან. აღნიშნული აქციის ფარგლებში 119 894–მა მოქალაქემ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი უსასყიდლოდ აიღო.

123 საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა - 3 511 853. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქების მიხედვით - იხილეთ ბმული

gov.ge), სადაც ნებისმიერ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება გადაემოწმებინა, როგორც ინფორმაცია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შესახებ, ასევე დარწმუნებულიყო სურათების სიზუსტეშიც. ამომრჩეველს, ერთიან სიაში არსებული მონაცემების გადამოწმება, აგრეთვე შეეძლო საქართველოს მასშტაბით განთავსებული 11 500 სწრაფი გადახდის ტერმინალისა და Android/iOS ოპერაციული სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის/ პლანშეტის საშუალებით.

ცესკომიმსაარჩევნოუბნებისამომრჩეველთა საარჩევნო სიები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებოდნენ, ვებგვერდზე მათთვის გასაგებ ენაზე განათავსა, რაც სიახლეს წარმოადგენდა.[124]

მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა სიების სრულყოფის მიზნით აქტივობების გაგრძელება, მათ შორის:

- **პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარება, რათა არ შეეზღუდოთ აქტიური ხმის უფლება;**
- **სიაში გარდაცვლილ პირთა შესახებ, მათ შორის საზღვარგარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარდაცვლილთა, მონაცემების მოძიება, შესწავლა და აქტიური ჩანაწერების შემცირება;**
- **სიაში იმ კატეგორიის ამომრჩევლების შესახებ მონაცემების მოძიება, დამუშავება და აღდგენა, რომლებსაც არ გააჩნიათ/გააჩნიათ უხარისხო ფოტოსურათი.**

საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის, რომლებსაც დევნილის სტატუსი აქვთ შეჩერებული, შესაძლებელია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის შეთავაზება.

მნიშვნელოვანია, პრობლემური რეგისტრაციის მისამართი მქონე ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, ეფექტური საინფორმაციო კამპანიის განხორციელება, რათა მათ დროულად გაიარონ რეგისტრაცია მისამართის მიხედვით.

ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველთა სიაში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც შესაძლოა ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა მოჰყვეს, საკმარისად ადრე განხორციელდეს, რათა შესაბამის უწყებებს საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად და ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაციისათვის საკმარისი დრო ჰქონდეთ.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ბიომეტრიული საარჩევნო სია მოქმედებს და იუსტიციის სამინისტროს გააჩნია 80%-ზე მეტი ამომრჩეველის ბიომეტროული მონაცემები, მნიშვნელოვანია საარჩევნო მანიპულაციების შემცირებისა და ამომრჩეველთა ხმის მიცემის უფლების სრულყოფილად რეალიზების მიზნით ამომრჩეველთა ბიომეტრიული იდენტიფიცირების მექანიზების დანერგვა საარჩევნო უბნებზე.

124 აღნიშნული ვალდებულება ცესკოს განესაზღვრა 2020 წლის ივლისის თვეში, საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

წინასაარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანია კანონმდებლობით დადგენილ დროის შუალედში განხორციელებული კოორდინირებული, მიზანმიმართული საჯარო ღონისძიებების სისტემაა, რომლის მიზანიცაა კანდიდატის მხარდამჭერთა მობილიზება და არჩევნებში მისი გამარჯვების უზრუნველყოფა. საარჩევნო კამპანია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური აზრის ფორმირებაში და ეხმარება ამომრჩევლებს გაანალიზონ პოლიტიკური პარტიების პლატფორმები, სამომავლო ხედვები და პროგრამები და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, თუ ვის მისცენ ხმა არჩევნების დღეს.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-6 თავის შესაბამისად. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კოდექსით დადგენილია სპეციალური სტანდარტები პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების, საჯარო მოხელეების, ადგილობრივი თვითმმართველობების, პოლიტიკური თანამდებობის პირების, მედიისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პროცესში. პოლიტიკურ პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები, რომლის წესები განსაზღვრულია საარჩევნო კოდექსით.

2020 წელს განხორციელებული საარჩევნო რეფორმის ფარგლებში ცვლილებები უფრო მეტად შევიდა მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების; საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვის ზოგად რეგულაციებში და ნაკლებად საარჩევნო კამპანიის წარმოების წესებში.

მიუხედავად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევისა, საარჩევნო კოდექსში არ იქნა გათვალისწინებული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODHIR) რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა არჩევნების დღეს „სიჩუმის პერიოდის“ დაწესებას და კენჭისყრის დღეს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების აკრძალვას. ერთადერთი კამპანიის წარმოების ნაწილში აიკრძალა კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება (რომელიც ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება) და კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ამავდროულად საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებს (გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლებისა), სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებს, საჯარო სკოლების პედაგოგებს შეეზღუდათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანია (აგიტაცია) ოფიციალურად კენჭისყრის

დღემდე 60 დღით ადრე იწყებოდა (1 სექტემბრიდან), წინასაარჩევნო მარათონი ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დაიწყო. არჩევნების გამოცხადებამდე რამდენიმე პოლიტიკური პარტიამ აქტიურად დაიწყო საარჩევნო კამპანიის წარმოება, გაიხსნა საარჩევნო შტაბები და დაიწო ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზება, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში.

კანდიდატების წარდგენა/ დასახელება

2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი შეთანხმდა სტრატეგიაზე: პარტიები რჩებიან ერთმანეთთან კონკურენციაში პროპორციული სიების ნაწილში, თუმცა თბილისის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში ერთმანეთს კონკურენტებს არ დაუყენებდნენ. გამონაკლისი იყო "პატრიოტთა ალიანსი", "ლელო", ალეკო ელისაშვილის "სამოქალაქო მოძრაობა" და ანა დოლიძის "ხალხისთვის", რომლებიც საერთო ოპოზიციური შეთანხმების მონაწილეები არ არიან.[125]

ამავდროულად საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე 2 თვით ადრე პოლიტიკურმა ძალებმა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში კანდიდატების წარდგენა დაიწყეს, კერძოდ:

- 19 ივნისს გაერთიანებულმა ოპოზიციამ თბილისის 6 მაჟორიტარულ ოლქში საერთო კანდიდატები ოფიციალურად წარადგინა;[126]
- 20 ივლისს მმართველმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" საზოგადოებას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა.[127] საზოგადოებას სიტყვით პარტიის თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა მიმართა;
- 3 აგვისტოს „ევროპულმა საქართველომ" რეგიონების ნაწილში მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა,[128] ხოლო 1 სექტემბერს ახალციხისა და გორის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა;
- 4 აგვისტოს ალეკო ელისაშვილმა ახალი პოლიტიკური პარტია „მოქალაქეები" წარადგინა და საარჩევნო კამპანია დაიწყო.[129] 26 აგვისტოს კი იმერეთის მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა;
- 12 აგვისტოს პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის" თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ, საზოგადოებას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა;[130]
- 17 აგვისტოს ახლად დაფუძნებულმა პარტიამ „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსი" თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა;[131]

125 "კონსოლიდაცია თბილისში, კონკურენცია – რეგიონებში" იხ: https://netgazeti.ge/news/471393/ 30.07.2020
126 ოპოზიცია შეთანხმდა - მაჟორიტარობის საერთო კანდიდატები თბილისში იხ: https://mtavari.tv/news/7943-opozitsia-shetankhmda-mazhoritarobis-saerto 19/06/2020

127 ქართულმა ოცნებამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა იხ: https://civil.ge/ka/archives/359927 20/07/2020
128 ევროპულმა საქართველომ რეგიონების ნაწილში მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა იხ: https://civil.ge/ka/archives/361296 03/08/2020
129 ალეკო ელისაშვილმა ახალი პოლიტიკური პარტია „მოქალაქეები" წარადგინა იხ: https://civil.ge/ka/archives/361465 04/08/2020
130 პარტიამ ლელო საქართველოსთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა იხ: https://civil.ge/ka/archives/362383 12/08/2020
131 „სოლიდარობის ალიანსმა" თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა იხ: https://civil.ge/ka/archives/362878 18/08/2020

- 18 აგვისტოს გაერთიანებულმა ოპოზიციამ თბილისის დარჩენილ 2 მაჟორიტარულ ოლქში საერთო კანდიდატები წარადგინა.[132] ამავდროულად "ლეიბორისტული პარტიის" ოფისში შეკრებილი ოპოზიციის ნაწილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების ერთმანეთის დაცვაზე შეთანხმდა;[133]
- 24 აგვისტოს, 30-მდე ოპოზიციურმა პარტიამ „ერთმანეთის ხმების დაცვის" მემორანდუმს მოაწერეს ხელი.[134]

საარჩევნო კამპანიის წარმოება და ეთიკური წესები

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საარჩევნო კამპანია შეიძლება განხორციელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით (რისთვისაც ისინი კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობენ შესაბამისი სამაუწყებლო მომსახურებით), მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები, შეკრებები და მანიფესტაციები), ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის (წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა) გამოცემითა და გავრცელებით, ხმის გამაძლიერებელ საშუალებათა გამოყენებით ან სხვა ფორმით.

საარჩევნო კოდექსი კრძალავს ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელებისათვის ხელის შეშლას და მათ ჩამორთმევას, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევას ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლას.[135] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საარჩევნო კოდექსით დადგენილი აკრძალვების გათვალისწინებით განსაზღვრეს იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალული/ნებადართული იყო.

საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე, თბილისსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში გამოჩნდა პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატების ბილბორდები, ბანერები და პლაკატები. პ/გ "ევროპული საქართველო" საარჩევნო პლაკატების გაკვრისათვის თბილისის მერიამ 500 ლარითაც კი დააჯარიმა.[136] 2020 წლის აგვისტოში, აღნიშნული გზავნილი თავიანთ ოფიციალურ საარჩევნო ბანერზე პოლიტიკურმა პარტიამ "საქართველოს პატრიოტთა ალიანი" განათავსა.[137] ბათუმში განთავსებულ წინასაარჩევნო სარეკლამო ბანერზე, აჭარის რეგიონი ოკუპირებულ რეგიონებთან ერთად, წითლად იყო მონიშნული და ის ირიბად მიანიშნებდა იმაზე, რომ რეგიონი თურქეთისგან დაცვას საჭიროებს. აღნიშნულ ბანერს სამოქალაქო სექტორის მხრიდან

132 ოპოზიციამ საერთო კანდიდატები თბილისის დარჩენილ ორ ოლქშიც დაასახელა იხ: https://civil.ge/ka/archives/362848 18/08/2020
133 რა წერია ოპოზიციის ერთობლივ დეკლარაციაში იხ: https://netgazeti.ge/news/475705/ 18.08.2020
134 ოპოზიციურმა პარტიებმა „ერთმანეთის ხმების დაცვის" მემორანდუმს მოაწერეს ხელი იხ: https://civil.ge/ka/archives/363475 24/08/2020

135 დაუშვებელია და საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ისჯება საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული.
136 "ევროპული საქართველო" პლაკატების გაკვრისთვის დააჯარიმეს იხ: netgazeti.ge 12.08.2020
137 პატრიოტთა ალიანსმა საარჩევნო ბანერზე აჭარა ოკუპირებული ტერიტორიების მსგავსად გამოსახა, 29.08.2020, ბმული: https://formulanews.ge/News/35914?fbclid=IwAR1RlaOs1SzIaaFBTOk8ZbEyAyQ-XX6bMhudL3K8fMOqlqhS6GsbVL88mNM

შესაბამისი პროტესტი მოყვა, ცესკო-მ კი სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა და პარტიის 2000 ლარით დაჯარიმება მოითხოვა.[138] პარტიის ხელმძღვანელის, ირმა ინაშვილის განცხადებით სარეკლამო ბანერის დასაბეჭდად შეთანხმებული ვერსია, განსხვავდებოდა დაბეჭდილი და განთავსებული ბანერისგან, რითიც მან აღნიშნული ბანერის შინაარსთან პარტიის კავშირი უარყო. ამავდროულად პოლიტიკურ პარტიების მიერ დასახელებული კანდიდატები, რომლებიც ჯერ არ იყვნენ კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი, მართავდნენ შეხვედრებს ამომრჩევლებთან და აწარმოებდნენ კამპანიას.[139]

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციებით პოლიტიკური აქტივობების განხორციელება არ იზღუდებოდა, შესაბამისად მოსახლეობასთან შეხვედრები იმართებოდა, როგორც ღია ცის ქვეშ, ასევე დახურული ტიპის დარბაზებში. პარტიები ძირითადად მცირემასშტაბიანი შეკრებებით შემოიფარგლებოდნენ, თუმცა რამდენიმე დიდი საჯარო მიტინგიც ჩატარდა, რაც პანდემიის დროს ადამიანთა ფართომასშტაბიანი შეკრების გამო, მწვავე კრიტიკის საგანი გახდა.[140]

138 „ანტიოურქული რეკლამის გამო თამარ ჟვანიამ „პატრიოტთა ალიანსის“ დაჯარიმება მოითხოვა“, 10.09.2020, ბმული: https://www.radiotavisupleba.ge/a/30831826.html

139 შალვა კერესელიძე მცხეთაში წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს, ვრცლად იხილეთ: https://droa.ge/?p=81267; https://droa.ge/?p=81193; http://kvira.ge/589254; https://rustavi2.ge/ka/news/173093; http://sknews.ge/index.php?newsid=28942; https://droa.ge/?p=78662 12.08.2020

140 16 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბათუმში მასშტაბური მიტინგი გამართა, რამაც პოლიტიკური პარტიების, მათ შორის „ქართული ოცნების“, კრიტიკა დაიმსახურა. სახალხო დამცველმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პანდემიის პირობებში გამართულ ამ ღონისძიებას „სრულიად უპასუხისმგებლო“ უწოდა.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, წინასაარჩევნო პერიოდში, ახორციელებდა საარჩევნო კამპანიის წარმოების მონიტორინგს. CDD-ის მიერ, 2020 წლის 8 სექტემბერს განხორციელდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა “საარჩევნო კამპანიის წარმოების ეთიკური წესები, გამოცდილება და კარგი პრაქტიკა.[141] კვლევის ფარგლებში შემუშავდა ძირითადი რეკომენდაციები, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ადმინისტრაციისთვის.

12 სექტემბერს ცესკომ, შვეიცარიის სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი შეიმუშავა, რომელშიც ასახულ იქნა CDD-ის მიერ შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები.[142]

40-მა პოლიტიკურმა პარტიამ ერთგვარი პირობა დადო, რომ აღიარებდნენ კანონის უზენაესობას და იმოქმედებდნენ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვით. ხელმომწერი პარტიები მზადყოფნას გამოთქვამდნენ საარჩევნო კამპანია წარემართათ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, არ გამოეყენებინათ სიძულვილის ენა, ქსენოფობიური და მუქარის შემცველი გამონათქვამები, ხელი შეეწყოთ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს და არ მიემართათ და არც სხვებისთვის მოეწოდებინათ ძალადობისკენ. დოკუმენტზე ხელმოწერით პარტიები ასევე თანხმდებოდნენ, რომ ხელს არ შეუშლიდნენ

141 იხილეთ კვლევა https://bit.ly/2H6NMoW

142 იხილეთ ქცევის კოდექსი https://bit.ly/2H0YrSa

კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგიტაციო მასალის გავრცელებას; განზრახ არ გაავრცელებდნენ უკანონოდ მოპოვებულ ან/და ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ; არ გამოიყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსებს; არ ეცდებოდნენ ამომრჩევლის ან საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების მოსყიდვასა და დაშინებას: აწარმოებდნენ საგნობრივ, პროგრამებზე დაფუძნებულ დებატებს და თავს შეიკავებდნენ პიროვნული შეურაცხყოფისგან.

თუმცა ქცევის კოდექსში ასახულ ეთიკის პრინციპებს არ გააჩნდათ იურიდიული ძალა და წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების მიერ კონსენსუსით შექმნილ ქცევის წესების ერთობლიობას.

CDD მიესალმა ქცევის კოდექსის შემუშავების ფაქტს, რაზეც განცხადება გაავრცელა.[143] წინასაარჩევნო პერიოდში CDD აქტიურად აკვირდებოდა პოლიტიკური პარტიების მიერ ქცევის კოდექსით აღებული ვალდებულებების შესრულებას, რისი ერთ-ერთი შედეგია ჩვენს მიერ მომზადებული განცხადება მარნეულში მომხდარ ძალადობრივ ინციდენტთან დაკავშირებით.[144]

წინასარჩევნო პერიოდში, CDD აქტიურად თანამშრომლობდა პოლიტიკურ პარტიებთან, საარჩევნო კამპანიის წესების დაცვისა და შესაძლო დარღვევების გამოვლენის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენმა ორგანიზაციამ, 2 ოქტომბერს, წერილობით მიმართა არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტს, საარჩევნო კამპანიის წესების შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაციის მოწოდების თხოვნით.[145]

წინასაარჩევნო კამპანია უმეტესწილად კონკურენტულ გარემოში წარიმართებოდა, პოლიტიკურ პარტიებსა და მაჟორიტარობის კანდიდატებს ჰქონდათ შესაძლებლობა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში თავისუფლად შეხვედროდნენ მოსახლეობას, მოესმინათ მათი პრობლემები და გაეცნოთ საკუთარი პროგრამები თუ ხედვები, თუმცა პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენცია ხშირად სამართლიანი თამაშის ჩარჩოებს სცდებოდა და ადგილი ჰქონდა კონფრონტაციის, წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩაშლის, პარტიული ოფისების ან წინასაარჩევნო მასალების დაზიანების და სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის რიგ შემთხვევებს, კერძოდ:

- 13 აგვისტოს, ოპოზიციური ფრთის ერთ-ერთი წარმომადგენელს, ჩუღურეთის ოლქის კანდიდატს ანა დოლიძეს თავს დაესხნენ;[146]
- 18 აგვისტოს, პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ცენტრალური ოფისის გარე ფასადი და ბანერები დააზიანეს;[147]
- 4 სექტემბერს, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, „ლელო საქართველოსთვის“ წევრზე თავდასხმა

143 იხილეთ განცხადება ქცევის კოდექსთან დაკავშირებით https://bit.ly/3dxxNfv
144 იხილეთ განცხადება https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3448596491872929?__tn__=K-R

145 მხოლოდ ორმა პარტიამ გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი და ახდენდა მის ხელთ არსებული ინფორმაციის გაზიარებას.
146 ანა დოლიძის განცხადებით „აღმაშენებლისა და წერეთლის გამზირებზე კამპანიას წარმოებისას, თავს დაესხათ ადამიანების ჯგუფი, რომლებიც შეურაცხყოფით, ძალადობითა და დაშინებით უშლიდნენ ხელს“, ვრცლად იხილეთ: https://sputnik-georgia.com/politics/20200814/249215931/saqarTvelos-politikurma-partiebma-winasaarCevno-kampania-gaaqtiures.html 14.08.2020
147 სტრატეგია აღმაშენებლის სათაო ოფისის ფასადი და ბანერები დააზიანეს, ვრცლად იხილეთ: http://www.tabula.ge/ge/story/176776-strategia-aghmasheneblis-satao-ofisis-fasadi-da-banerebi-daazianes 18/08/2020

მოხდა.[148] შსს-მ ფაქტზე ერთი პირი დააკავა;[149]

- 9 სექტემბერს, ზუგდიდში „ლელოს“ წევრებს ამომრჩეველთან შეხვედრისას საჯარო მოხელეები დაუპირისპირდნენ, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. აღნიშნულ ფაქტზე ზუგდიდის პოლიციის რაიონულ სამმართველოში დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება;[150]
- 23 სექტემბერს, ბოლნისში "ნაციონალური მოძრაობის" ოფისზე თავდასხმა მოხდა. მომხდარზე შსს-მ გამოძიება დაიწყო;[151]
- 27 სექტემბერს ბოლნისის რაიონის სოფელ ნახიდურში დაპირისპირება მოხდა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის;[152]
- 29 სექტემბერს მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიასთან დაპირისპირება მოხდა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის, რის შედეგადაც დაშავდნენ აქტივისტები და ჟურნალისტები. შსს-მ ფაქტზე ერთი პირი დააკავა;[153]
- 30 სექტემბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სენაკის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის შვილს თავს დაესხნენ. მომხდარზე შსს-მ გამოძიება დაიწყო;[154]
- 9 ოქტომბერს, ჩხოროწყუში "ქართული ოცნებისა" და "სტრატეგია აღმაშენებლის" მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება მოხდა;[155]
- 15 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება მოხდა.[156]

მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის ფაქტები სცდებოდა პოლიტიკური პარტიების ეთიკური ქცევის ზოგად წესებს და უარყოფით გავლენას ახდენდა წინასაარჩევნო გარემოზე, რაც თავის მხრივ ამცირებდა პოლიტიკური/საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს.

იმისათვის, რომ კოდექსი იყოს ეთიკური პრინციპებისა და ქცევის სტანდარტების დამკვიდრებისკენ მიმართული ქმედითი დოკუმენტი, სასურველია იგი მოიცავდეს ადექვატურ სანქციებს და გააჩნდეს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი. წინასაარჩევნო კამპანიის წესების უფრო მკაფიო და ეფექტიანი რეგულირების მიზნით, სასურველია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და კონტროლის/ ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების შემოღება. ისევე როგორც, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციების შემოღება პოტენციურ დარღვევებთან მიმართებით.

148 თავდასხმა „ლელოს“ წევრზე, პარტიაში ფიქრობენ, რომ მათ თანაგუნდელი „ოცნების“ მხარდამჭერებმა სცემეს, ვრცლად იხილეთ: https://mtavari.tv/news/14935-tavdaskhma-lelos-cevrze-partiashi-pikroben-rom 04.09.2020

149 „ლელოს“ წევრის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ერთი პირი დააკვეს, ვრცლად იხილეთ: https://civil.ge/ka/archives/365671 05/09/2020

150 „ქართული ოცნების“ ზონდერები ზუგდიდში „ლელოს“ ღონისძიების პროვოკაციულად ჩაშლას ცდილობდნენ, ვრცლად იხილეთ: https://www.interpressnews.ge/ka/article/617401-lelo-kartuli-ocnebis-zonderebi-zugdidshi-lelos-gonisziebis-provokaciulad-chashlas-cdilobdnen

151 ბოლნისში ენმ-ის შტაბის დაზიანებაზე გამოძიება დაიწყო, ვრცლად იხილეთ: https://netgazeti.ge/news/483793/

152 დაპირისპირება ბოლნისში, ვრცლად იხილეთ: https://tabula.ge/ge/news/653920-dapirispireba-bolnisshi-enm-kartuli-otsneba 28/09/2020

153 დაპირისპირება მარნეულში, ვრცლად იხილეთ: https://reginfo.ge/politics/item/19444-marneulshi-saarchevno-komisiis-tanamshromlis-zemis-braldebit-enm-s-xevri-lasha-qvelawe-daakaves 05/09/2020

154 მუქარა პოლიტიკური ნიშნით სენაკში, ვრცლად იხილეთ: https://droa.ge/?p=85505

155 ვრცლად იხილეთ: https://droa.ge/?p=86456

156 „ევროპული საქართველოს“ გორის ორგანიზაციის განცხადებით, მათ ახალუბანში „ოცნების“ მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ ვრცლად იხილეთ: https://www.radiotavisupleba.ge/a/30897123.html

ამავდროულად მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში კამპანიისა და ეთიკური წესების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელშიც შევლენ პოლიტიკური პარტიების, კონკრეტული სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნელები.

პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის, საზოგადოებრივი და საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის გაზრდა და სამოქალაქო განათლებაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება იმის შესახებ, რომ დევნა, დაშინება და ძალადობა მიუღებელია.

მიუხედავად იმისია, რომ საარჩევნო კოდექსი არ არეგულირებს ონლაინ სივრცეში აგიტაციის განხორციელების წესებს, წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად წარმოებდა მედიასა და სოციალურ ქსელებში. საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობა ამომრჩევლებთან დასაკავშირებლად ძირითადად „ფეისბუქს“ იყენებდა, რაც პასუხობდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას,[157] რომელიც საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან (მხარდამჭერებთან) ფიზიკური კონტაქტის შესამცირებლად საარჩევნო კამპანიის წარმოების მხოლოდ ალტერნატიული მექანიზმების (სოციალური მედიის პლატფორმები, ინტერნეტი ან ტრადიციული მედია საშუალებები) გამოყენებისკენ მოუწოდებდა.

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და მზარდი მოთხოვნილებების ფონზე, თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში ონლაინ სივრცეში აგიტაციის განხორციელების მკაფიო რეგულირდება, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

ერთობლივი ქცევის კოდექსი

28 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის 31 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად და გამჭირვალედ ჩატარების ხელშეწყობის, კანონის უზენაესობის პატივისცემისა და ძირითადი საარჩევნო პრინციპების განხორციელების მიზნით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და 29 ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლმა, მათ შორის განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა, ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს[158] და შეთანხმდნენ, რომ საკუთარ საქმიანობაში დაიცავენ კანონის უზენაესობას, იქნებიან მიუკერძოებლები და ობიექტურები, იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით და არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და ხელს შეუწყობენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიან და გამჭირვალე გარემოში ჩატარებას.

ქცევის კოდექსით განისაზღვრა, ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და მეორეს მხრივ, ადგილობრივი სადამკვირვებლო

157 იხილეთ თავი: COVID-19 ინფექციის პირობებში არჩევნების ჩატარება, რეკომენდაცია N2

158 განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა (CDD) ქცევის (ეთიკის) კოდექსს მოაწერა ხელი https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3443104632422115

ორგანიზაციების ვალდებულებები: პოლიტიკური ნეიტრალურობის და მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების; თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს; პროაქტიული თანამშრომლობისა და რეაგირების; პანდემიის პირობებში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ **განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)** არის 2016 წელს შემუშავებული პირველი ქცევის კოდექსის თანაავტორი. CDD ყოველი არჩევნებისთვის აქტიურად მონაწილეობს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ერთობლივი ქცევის კოდექსის შემუშავების პროცესში და უერთდება მას.[159]

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) მიესალმება მსგავსი დოკუმენტის არსებობას და მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის კოდექსი ხელს უწყობს რწმენის გაზრდას დემოკრატიული პროცესებისადმი, როგორც მშვიდობიანი ცვლილებების მექანიზმს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

2020 წლის 16 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიას, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და 13 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.[160] დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები, საარჩევნო კოდექსში კონკრეტული მუხლების (45-ე, 48-ე და 49-ე მუხლები) ერთგვაროვან განმარტებაზე შეთანხმდნენ და აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს სწორედ მემორანდუმში მითითებულ განმარტებებით იხელმძღვანელებდნენ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) მსგავსი მემორანდუმის გაფორმებას რამდენიმე საარჩევნო ციკლის მანძილზე უწევს ფასილიტაციას, რაც ხელს უწყობს საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას წინ უძღოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის და არასამთავრობო

159 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3443104632422115

160 იხილეთ მემორანდუმი https://cesko.ge/res/docs/img083833-rotated.pdf

ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გამართული სამუშაო შეხვედრები, რომლის დროსაც შემუშავდა მემორანდუმის ტექსტი და მომზადდა თემატური სახელმძღვანელოები საარჩევნო საკითხებზე. მემორანდუმის და სახელმძღვანელოების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა **განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD).**

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია

2020 წლის 30 ივნისს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის მინისტრის №560 ბრძანებით შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, რომელიც 14 წევრისგან შედგებოდა.[161]

უწყებათაშორისი კომისია, არჩევნების დროს საჯარო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების მიზნით, პირველად 2008 წელს დროებით შეიქმნა. 2011 წელს კომისია კანონმდებლობით განისაზღვრა, როგორც მუდმივმოქმედი ნახევრად სამთავრობო უწყება, რომელსაც მთავრობისა და პოლიტიკური პარტიებისთვის რეკომენდაციების გაწევის უფლებამოსილება მიენიჭა. 2013 წლის აგვისტოში უწყებათაშორისი კომისია პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებელი ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ გადავიდა.

უწყებათაშორისი კომისიამ მუშაობა ივლისის თვეში დაიწყო (პირველი სხდომა 14 ივლისს გაიმართა) და განიხილავდა საკითხებს, რომლებიც უკავშირდებოდა საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უწყებათაშორის კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად, კომისია გამოსცემდა რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეებისა და საჯარო დაწესებულებების მიმართ. თუმცა ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიებმა[162] და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ[163] სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

161 კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, თუმცა მათ გარდა კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით, მოსაწვევი ეგზავნებოდა საარჩევნო სუბიექტებს – სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მიმღებ პოლიტიკურ პარტიებს, არჩევნებში სადამკვირვებლო გამოცდილების მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხვა დაინტერესებულ პირებსა და საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების თითო წარმომადგენელს.

162 თავდაპირველად ბოიკოტი მპგ „ევროპული საქართველომ“ განაცხადა, რომელსაც მოგვიანებით მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეუერთდა. უწყებათაშორის კომისიას ბოიკოტი სხვა ოპოზიციური პარტიებმაც გამოუცხადეს, მათ განცხადებით უწყებათაშორისი კომისია არ ემსახურებოდა იმ მიზნებს, რისთვისაც შეიქმნა.

163 უწყებათაშორისი კომისიის მუშაობას „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „სამართლიანი არჩევნები“ გაემიჯნენ. მათი შეფასებით, კომისია ვერ პასუხობს მთავარ გამოწვევებს.

წინა წლებისგან განსხვავებით, კომისიამ განსახილველ საკითხთა ნუსხა შეამცირა და მხოლოდ ისეთი საკითხების განხილვაზე აკეთებდა აქცენტს, რომელიც უკავშირდებოდა საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ უწყებათაშორისი კომისიის მანდატში არ შედიოდა საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევაზე რეაგირება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე არაერთხელ მოუწია წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით რეკომენდაციებით მიემართა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის. **თუმცა კომისიის რეკომენდაციები არასავალდებულო ხასიათის ატარებდა და მისი აღსრულება მხოლოდ ჩართული მხარეების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.**

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) აქტიურად მონაწილეობდა უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრებში. ჩვენი წარმომადგენელი სისტემატიურად ესწრებოდნენ კომისიის სხდომებს და აკვირდებოდნენ კომისიის მუშაობას.[164]

უწყებათაშორისი კომისიის სხდომები ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა, ხოლო კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ – კვირაში ერთხელ. ჯამში 13 სხდომა ჩატარდა. უწყებათაშორისი კომისიამ საქმიანობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან შეწყვიტა. კომისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეიმუშავა[165] და შუალედური ანგარიშიც წარადგინა.[166]

უწყებათაშორისი კომისიის მიმართ ბოიკოტმა და ნდობის დაბალმა მაჩვენებელმა მისი ეფექტურობა და მნიშვნელობა დააკნინა. მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები იყოს შესასრულებლად სავალდებულო და დაინერგოს შესაბამისი უწყებების მიერ მათი აუცილებელი შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. მიგვაჩნია, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანია და უფრო მაღალი ლეგიტიმაციისა და სანდოობის მიზნით გადავიდეს საქართველოს პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაში.

წინასაარჩევნო გარემოს შეფასება

CDD მასპინძლობდა საარჩევნო გარემოს შემსწავლელ საერთაშორისო დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საფრანგეთის პარლამენტის მაღალი რანგის საჯარო მოხელეები, საერთაშორისო დონის ექსპერტები და ევროპარლამენტარები.[167]

საერთაშორისო შემფასებელი მისიის წევრები საარჩევნო გარემოსა და არჩევნების დღის შეფასების მიზნით არჩევნებში ჩართულ სხვადასხვა მხარეებს შეხვდნენ, კერძოდ:

29 ოქტომბერს გაიმართა შემფასებელი მისიის შეხვედრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებთან.[168]

164 კომისიის სხდომა 13.10.2020 https://bit.ly/3k75S8p

165 რეკომენდაციების სანახავად იხილეთ ბმული

166 იხილეთ შუალედური ანგარიში: https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/1581

167 ვრცლად იხილეთ: https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3532053820193862 https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3534954326570478 https://www.facebook.com/watch/?v=807038370091309

168 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3535131086552802

30 ოქტომბერს გაიმართა შემფასებელი მისიის შეხვედრა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან,[169] მმართველი პარტიის ლიდერებთან,[170] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარესთან,[171] საქართველო-ლოს მთავრობის ადმინისტრაციის და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლებთან.[172]



შეხვედრების ფარგლებში შემფასებელი მისიის წევრებსა და ჩართულ მხარეებს შორის მოხდა როგორც წინასაარჩევნო გარემოსა და საქმიანობების, აგრეთვე მიმდინარე საარჩევნო/პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციისა და თავიანთი ექსპერტული შეფასებების ურთიერთგაზიარება.[173]

169 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3537743802958197
170 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3538124386253472
171 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3538489659550278
172 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3538874546178456
173 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3540467499352494

კენჭისყრის დღე

კენჭისყრის პროცესი, ხმის დათვლა და შედეგების შეჯამება

2020 წლის 31 ოქტომბერს გასამართი არჩევნების მიმდინარეობას აკვირდებოდა საარჩევნო სუბიექტების 80 819 წარმომადგენელი, 132 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 46 981 და 5 საარჩევნო ადმინისტრაციის, 20 საელჩოსა და 23 საერთაშორისო ორგანიზაციის 910 დამკვირვებელი. აკრედიტაცია გავლილი ქონდა 118 მედია ორგანიზაციის 5 971 წარმომადგენელს.

CDD-ისა და IDEM-ის 100 კაციანი ერთობლივი სადამკვირვებლო მისია კენჭისყრის დღეს მობილური ჯგუფების მეშვეობით დააკვირდა. მობილური ჯგუფები განაწილებული იყვნენ 20-დე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და დააკვირდნენ საარჩევნო უბნის გახსნას - 100-მდე საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის პროცესს - 500-მდე საარჩევნო უბანზე და ხმის დათვლის პროცესს - 100-მდე საარჩევნო უბანზე.

ერთობლივი სადამკვირვებლო მისია კენჭისყრის დღეს აგრეთვე ფარავდა საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებს (აშშ-სა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში), კერძოდ: ბერლინში, ფრანკფურტში, ბარსელონაში, ვარშავაში, ჰაგაში, კოპენჰაგენში, ლონდონში, რომსა და ნიუ-იორკში გახსნილ საარჩევნო უბნებს. [174]

CDD-ში ფუნქციონირებდა არჩევნების დღის ცხელი ხაზი (551 706 706), რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, ცხელი ხაზის მეშვეობით ჟურნალისტებსა და მედია ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთის მხრივ, მიეღოთ ინფორმაცია და იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო პროცედურების შესახებ და მეორეს მხრივ, მოეწოდებინათ ინფორმაცია კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. [175]

174 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/watch/?v=665467007306577
https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3540472632685314
175 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3537875496278361

2020 წლის 31 ოქტომბერს საარჩევნო უბნები, სადაც CDD ახორციელებდა დაკვირვებას, დილის 07:00 სთ-ზე გაიხსნა. CDD-ის დამკვირვებლები საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იმყოფებოდნენ დანიშნულების ადგილზე და შეუფერხებლად აკვირდებოდნენ უბნის გახსნის პროცედურებს.

დილის 08:00 საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი მზად იყო პირველი ამომრჩევლის მისაღებად. დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნორმის მქონე ლუქით დაილუქა ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები. საარჩევნო უბნების გახსნის პროცესმა ძირითადად პროცედურების დაცვით ჩაიარა, თუმცა დაფიქსირდა უმნიშვნელო პროცედურული ხარვეზები, რასაც საერთო ჯამში პროცესზე გავლენა არ მოუხდენია.

CDD-ის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით უბნის გახსნის პროცესმა ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა. გახსნის პროცესი საარჩევნო უბნების 53%-ში შეფასდა, როგორც ძალიან კარგი, 44%-ში როგორც კარგი და 3%-ში როგორც საშუალო ან ცუდი.

მთელი დღის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა დამკვირვებლებთან დაკავშირება და ინფორმაციის მიღება. ხმის მიცემის პროცესი ძირითადად მშვიდ გარემოში კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ არ ხდებოდა COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკოს მიერ დადგენილი წესების სრულფასოვანი შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ფოტოსურათიანი სია იყო განთავსებული, რეგისტრატორები განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც არ აქცევდნენ ამომრჩევლის სახისა და სიაში არსებული ფოტოს შედარებას. ამომრჩეველთა მარკირება და მარკირების შემოწმების პროცედურა ძირითადად ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესის დაცვით. რეგისტრატორების მიერ საარჩევნო ბიულეტენები სათანადოდ მოწმდებოდა ხელმოწერითა და ბეჭდით, თუმცა იყო მცირედი შემთხვევები ბიულეტენის არასწორად გაცემასთან დაკავშრებით. ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო უბნებზე უმეტესწილად დაცული იყო.

კენჭისყრის პროცესში იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი საარჩევნო კონვერტის ყუთში მოთავსების შემდგომ ყოვნდებოდა საარჩევნო უბანზე (კომუნიკაციას აწარმოებდა ცალკეულ კომისიის წევრთან არა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე), რაც აფერხებდა გარკვეულწილად კენჭისყრის პროცესს.

მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს, რომ სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში მოთავსების შემდეგ ამომრჩეველმა უნდა დატოვოს კენჭისყრის შენობა.

ხმის მიცემის პროცედურის მიმდინარეობის დროს უბნის გარეთ CDD-ის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ე.წ. „კოორდინატორების“ მობილიზების შემთხვევები, რომლებიც „ჟურნალში“ კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერების აღრიცხვას აწარმოებდნენ. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა, გასული წლების არჩევნების მსგავსად, კვლავაც შესამჩნევი იყო, რაც CDD-ის მიერ არაერთხელ იქნა დაფიქსირებული. აღნიშნული ზრდიდა დაძაბულობას და რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაპირისპირება საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მობილიზების ფაქტები ჩვენი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა უფრო მეტად თბილისში და ქვემო ქართლის რეგიონებში.

ამავდროულად ერთ-ერთი მედია საშუალების („newpost ნიუპოსტი“) წარმომადგენლები კენჭისყრის შენობაში ახორციელებდნენ შემსვლელ პირთა ფოტოგადაღებას, ეს უკანასკნელი არჩევნებზე მისულ პირთა იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა და ფარული კენჭისყრის უფლების ერთგვარ დარღვევას წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით CDD იყო პირველი ორგანიზაცია, რომელმაც საზოგადოებას და ჩართულ მხარეების მიაწოდა ინფორმაცია.

კენჭისყრის დღეს სამწუხაროდ არ ჩაუვლია პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირებისა და ძალადობრივი ინციდენტების გარეშე. ინციდენტები ძირითადად თბილისში, რუსთავში, მარნეულში, ქუთაისში, სენაკსა და ზუგდიდში დაფიქსირდა. პოლიციამ არჩევნების დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 12 სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტზე დაიწყო გამოძიება, ასევე, ადმინისტრაციული საქმისწარმოება დაიწყო პოლიციის კომპეტენციას მიკუთვნებულ 16 ფაქტზე.[176]

176 ვრცლად იხილეთ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბრიფინგი https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-ministris-pirveli-moadgilis-kakhaber-sabanadzis-brifingi/14096

აღნიშნულმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ ამომრჩევლის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოსავლენად მნიშვნელოვანია კენჭისყრის დღეს ე.წ. „სიჩუმის პერიოდის“ დაწესება.

საბოლოოდ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა - 1 980 644 (56,4%) ამომრჩეველმა. აღსანიშნავია, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტი აქტიურობით ვიდრე თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები. მამაკაცთა აქტივობა არჩევნებზე უფრო მაღალი იყო (50,52%), ვიდრე ქალთა (49,48%). ყველაზე დიდი აქტივობა იყო დღის საათებში (12^{00}-15^{00} სთ შუალედში).

20:00 საათზე ყველა საარჩევნო უბანი დროულად დაიხურა. CDD-ის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნებზე და აკვირდებოდნენ საარჩევნო ყუთების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების დათვლისადაკენჭისყრისშედეგებისშეჯამების პროცესს. ხმის დათვლის პროცესი მეტწილად მშვიდ გარემოში წარიმართა. უფლებამოსილ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ პროცესს, რომელიც იყო გამჭვირვალე, თუმცა შეინიშნებოდა გარკვეული პრობლემების დათვლის პროცესის ორგანიზების კუთხით, რაც რიგ შემთხვევაში იწვევდა პროცესის გაჭიანურებას.

მნიშვნელოვანია მთვლელების მიერ ბიულეტენების დათვლისა და დახარისხების პროცედურის გამარტივება და მკაფიო რეგულირება, რაც უზრუნველყოფს პროცედურის განხორციელების დროულობას და სისწორეს.

CDD-ის დამკვირვებლების ინფორმაციით საოლქო საარჩევნო კომისიები მომზადებულნი შეხვდნენ საუბნო კომისიებიდან დალუქული საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, თუმცა პროცესი ქაოტურ ხასიათს ატარებდა და მეტ-ნაკლებად ორგანიზებული იყო.

კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, თითოეული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, შეფერხებით და რიგ შემთხვევებში დაგვიანებით თავსდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.results.cec.gov.ge.). აღნიშნული აქტივობა ძალზედ პოზიტიურია, ვინაიდან ყველა დაინტერესებული მხარისთვის არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, ყველას აქვს შესაძლებლობა ეტაპობრივად ადევნოს თვალყური შედეგების დათვლის პროცესს. ცესკოს თავმჯდომარე ეტაპობრივად აქვეყნებდა არჩევნების წინასწარ შედეგებს, საარჩევნო უბნის მიხედვით. პირველი წინასწარი შედეგები საარჩევნო უბნების დახურვიდან 7 საათსა და 25 წუთში გამოაცხადა, რაც გახდა პოლიტიკური პარტიების კრიტიკის საგანი.

საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას მეტწილად დადებითად შევაფასებდით. ორგანიზაციის დაკვირვებით იმ საუბნო საარჩევნო კომისიებმა, სადაც CDD-ის დამკვირვებლები იყვნენ წარმოდგენილნი, მეტწილად თავი გაართვეს პანდემიის პირობებში მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მათ უზრუნველყვეს ამომრჩეველის მიერ საკუთარი ნების ფარულად დაფიქსირების შესაძლებლობა. სამწუხაროდ დაფიქსირდა კომისიის

წევრთა კომპეტენციასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ჩვენი შეფასებით გამოწვეული იყო ტრენინგებზე გამოცხადების დაბალი მაჩვენებელით და კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევათა გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის ზემდგომი ინსტანციების სწრაფი რეაგირება და აღნიშნულ დარღვევათა უმრავლესობის უმოკლეს დროში მოწესრიგების ეფექტური მცდელობა შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ.

რიგ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა კომისიის თავმჯდომარის და მდივნის კომპეტენციის ნაკლებობა შემაჯამებელი ოქმის შევსების წესთან დაკავშირებით. რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საუბნო კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით შესწორების ოქმებისა და ახსნა-განმარტებების სიმრავლე.[177]

დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარდა კენჭისყრის დღის ანალიზი, შეფასდა გამოვლენილი დარღვევები. კენჭისყრის პროცესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მეტწილად მშვიდ გარემოში ჩაიარა. კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევებს მასშტაბური ხასიათი არ ჰქონია. კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესი, იმ საარჩევნო უბნებში სადაც დაკვირვება განხორციელდა, 27%-ში შეფასდა როგორც ძალიან კარგი და 61%-ში როგორც კარგი, ხოლო საარჩევნო უბნების 12%-ში საშუალო ან ცუდი.

177 შესწორების ოქმი დაიწერა პროპორციულ ოქმში - 507 საარჩევნო უბნის (13,18%), ხოლო მაჟორიტარულ ოქმში - 584 უბნის შემთხვევაში (15,39%). ხოლო ახსნა-განმარტებები დაიწერა ჯამურად პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნებისთვის 615 საარჩევნო უბნის შემთხვევაში (15.99%).

მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქცია – მოვალეობები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია. კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივებისა და რიგი ფუნქციების სწორად გადანაწილების პირობებში მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის შემცირება. იმ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა შესაძლებელია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 6 წევრის ნაცვლად დანიშნული იქნას 2, 3, ან 4 წევრი. კომისიების შემადგენლობის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს არსებული რესურსის უკეთ გადანაწილებას, ადმინისტრაციის წევრებისთვის უკეთესი ანაზღაურებისა და მომზადების შესაძლებლობას.

კენჭისყრის დღის შეფასება და საზოგადოების ინფორმირება

სადამკვირვებლო მისიის მიგნებების, გეგმების და მეთოდოლოგიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ინფორმაციები პერიოდულად ქვეყნდებოდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.facebook.com/CDD.ge) და ვრცელდებოდა, როგორც სატელევიზიო, აგრეთვე ინტერნეტ მედია საშუალებებში. არჩევნების დაკვირვების პროცესის შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სატელევიზიო მედია საშუალებებში, CDD-ის მიერ მოეწყო 6 პრესკონფერენცია.

საზოგადოებას და ჩართულ მხარეებს, პერიოდულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების შედეგების შესახებ, კერძოდ:

- დაკვირვების შედეგები: 10:00

საათისათვის,[178] 14:00 საათისათვის,[179] 21:00 საათისათვის;[180]

- კენჭისყრის პროცესის შეფასება საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე,[181]
- ხმის მიცემის პროცესის საერთო შეაფასება - Euronews Georgia;[182]
- ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესის შეფასება;[183]
- არჩევნების დღის შემაჯამებელი ბრიფინგი;[184]

- საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასება. [185]

არჩევნების დღეს სატელევიზიო არხების უმეტესობაზე განსხვავებული ფორმატისა და ჩვეულებრივზე ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. ეს საინფორმაციო გამოშვებები დეტალურად მიმოიხილავდა არჩევნების მიმდინარეობას, დარღვევებს, ეგზიტპოლის შედეგებს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებსა და კანდიდატების განცხადებებს.

კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები

სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში საარჩევნო დავებზე მუშაობდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევდა კენჭისყრის დღეს გამოვლენილ დარღვევებს. კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების უმეტესობა პროცედურულ ხასიათის ატარებდა, რის თაობაზეც დამკვირვებლის მიერ აღნიშნულ იქნა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, რასაც ხშირ შემთხვევაში მოჰყვა სწრაფი რეაგირება საარჩევნო კომისიის მხრიდან და მოხდა ხარვეზის მყისიერად აღმოფხვრა.

კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები:

- საარჩევნო ყუთის დალუქვის წესის დარღვევა - 1 შემთხვევა;
- წილისყრის პროცედურების დარღვევა - 1 შემთხვევა;
- პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრების მხრიდან წილისყრით მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე უარი - 3 შემთხვევა;
- კომისიის წევრის დაგვიანებით გამოცხადება - 1 შემთხვევა;
- საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნა - 2 შემთხვევა.

178 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3540202426045668
https://www.facebook.com/watch/?v=1080491979036821
179 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3540595956006315
180 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3541460815919829
181 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3541172949281949
182 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/watch/?v=2423698351267563
183 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3544517212280856
184 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3543353995730511
185 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/watch/?v=350912332859506

უბნის გახსნა და კენჭისყრის პროცესი:

- ამომრჩეველთა აღრიცხვა - არაერთი შემთხვევა;
- ხმის მიცემის უფლების უკანონოდ შეზღუდვის მცდელობა - 1 შემთხვევა;
- პირადობის მოწმობის გარეშე/ ვადაგასული მოწმობით/სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის მცდელობა - 3 შემთხვევა;
- საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევის ან მუშაობისთვის ხელის შეშლა - 3 შემთხვევა;
- ფოტოვიდეოგადაღების წესის დარღვევა - 3 შემთხვევა;
- ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა - 2 შემთხვევა;
- უბნის მიმდინარე ტერიტორიაზე, 25 მეტრის მანძილზე, სააგიტაციო მასალის განთავსება - 2 შემთხვევა;
- აგიტაცია კენჭისყრის შენობაში - 1 შემთხვევა;
- კენჭისყრის შენობაში არაუფლებამოსილ პირის ყოფნა - 2 შემთხვევა;
- საარჩევნო დოკუმენტაციის დაზიანება - 2 შემთხვევა;
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურის დარღვევა - 2 შემთხვევა;
- რეგისტრატორის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დაუმოწმებლობა - 1 შემთხვევა;
- სადემონსტრაციო ოქმის შეუვსებლობა - 1 შემთხვევა;
- ამომრჩევლისთვის სპეციალური კონვერტის მიწოდება - 2 შემთხვევა;
- საარჩევნო ყუთში ბიულეტენის კონვერტის გარეშე მოთავსება - 1 შემთხვევა;
- დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხელის შეშლა - 2 შემთხვევა;
- საარჩევნო უბნებზე COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკოს მიერ დადგენილი წესების არასათანადო შესრულება ან რიგ შემთხვეაში შეუსრულებლობა - არაერთი შემთხვევა.

სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა რიგი პროცედურული დარღვევები:

- საარჩევნო უბნის დაგვიანებით გახსნა - 2 შემთხვევა;
- საარჩევნო ყუთის დალუქვის წესის დარღვევა - 1შემთხვევა;
- საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევის ან ხელის შეშლის მცდელობა - 2 შემთხვევა;
- არაუფლებამოსილი პირების ყოფნა საარჩევნო უბანზე - 4 შემთხვევა;
- ამომრჩეველთა მარკირების წესის დარღვევა - 1 შემთხვევა;
- მარკირების შემოწმების წესის დარღვევა - 1 შემთხვევა;
- საარჩევნო უბნის არასათანადო მოწყობა - 1 შემთხვევა;
- ამომრჩეველთა სიაში ერთი წლის წინ გარდაცვლილი ამომრჩევლის ყოფნის ფაქტი - 1 შემთხვევა;
- სპეციალური სიის მეშვეობით ხმის მიცემის წესის დარღვევა - 1 შემთხვევა;

- საარჩევნო უბნებზე COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკოს მიერ დადგენილი წესების არასათანადო შესრულება ან რიგ შემთხვეაში შეუსრულებლობა - 2 შემთხვევა.

უბნის დახურვა და ხმების დათვლის პროცედურა:

- ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას შორის შეუსაბამობა - 2 შემთხვევა;
- საარჩევნო ყუთის ჭრილის დალუქვის წესის დარღვევა - 1 შემთხვევა;
- ხმების დათვლის პროცესში უფლებამოსილი პირების აღურიცხაობა - 1 შემთხვევა;
- მონაცემთა სიზუსტის გადამოწმების წესის შეუსრულებლობა - 1 შემთხვევა;
- უფლებამოსილი პირების არ დაშვება საარჩევნო უბანზე - 1 შემთხვევა;
- მთვლელის საქმიანობაში ჩარევა - 1 შემთხვევა;
- ბათილი საარჩევნო ბიულეტენის მიზანმიმართულად ნამდვილად ცნობა - 1 შემთხვევა;
- საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევა - 1 შემთხვევა.

საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მაღალი იყო ისეთი ბიულეტენების რაოდენობა, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიებმა მიიჩნიეს ბათილად (განსაკუთრებით მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების შემთხვევაში). ბათილი საარჩევნო ბიულეტენების უმეტესობაში არჩევანი ან საერთოდ არ იყო გამოხატული ან იყო ერთზე მეტი სუბიექტი გადახაზული.

რიგ საარჩევნო უბნებზე იყო შემთხვევები როდესაც ყუთიდან ამოსული საარჩევნო ბიულეტენების გარკვეული რაოდენობა არ იყო დამოწმებული რეგისტრატორის ბეჭდით, რის გამოც აღნიშნული ბიულეტენების ჩათვალეს ბათილად. მაგალითად N1 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ერთ-ერთ უბანზე ასეთი ბიულეტენების რაოდენობამ შეადგინა 36, რომელიც ერთიდაიმავე რეგისტრატორის მიერ იყო გაცემული. ამავდროულად იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიამ ბათილად მიიჩნია ისეთი ბიულეტენი, რომელშიც ამომრჩევლის ნება აშკარად იყო გამოხატული.

მიგვაჩნია, რომ გადახედვას საჭიროებს საარჩევნო ბიულეტენის ბათილობის საფუძვლები. მნიშვნელოვანია გაუქმდეს საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორის ხელმოწერის და ბეჭდის დასმის პროცედურა. ეს ერთის მხრივ ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსს (რომლის თანახმადაც დაუშვებელია საუბნო კომისიის წევრების მიერ ბიულეტენებზე რაიმენაირი ნიშნის დასმა) და მეორეს მხრივ, კომისიის წევრის დაუდევრობით, ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ ხმის მიცემის უფლებას.

ამომრჩეველთა მხრიდან დაფიქსირებული პოზიციისა და მოთხოვნის შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია ამომრჩეველს მიეცეს საშუალება არჩევნების დღეს, სურვილის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში დააფიქსიროს „ხმა ყველას წინააღმდეგ“ ამ შემთხვევაში ნათლად დაფიქსირდება ამომრჩევლის ნება და დღეს არსებული რეგულაციების შესაბამისად მსგავსი ბიულეტენი არ იქნება მიჩნეული ბათილად არამედ ჩაითვლება ამომრჩევლის პოზიციად.

ამავდროულად მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს ნორმა, რომელიც დაავალდებულებს საარჩევნო კომისიას დაადგინოს ამომრჩევლის განზრახვა და ბათილად არ სცნოს ისეთი ბიულეტენი სადაც ნება აშკარად გამოხატულია.

შემაჯამებელი ოქმის შედგენა

CDD-ის სადამკვირვებლო მისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების სიზუსტის და სისრულის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც, ცესკოს ვებ-გვერდზე (https://results.cec.gov.ge) განთავსებული, აგრეთვე ჩვენი დამკვირვებლების მიერ კანონიერად მიღებული შემაჯამებელი ოქმები და თანდართული დოკუმენტაცია. ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში დარღვეული იყო ოქმის შევსების წესი (მონაცემები იყო გადასწორებული, არ იყო მითითებული ოქმის შედგენის თარიღი და დრო, ოქმზე არ იყოს კომისიის წევრის/ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა, კომისიის ბეჭდის ნომერი არ იყო სწორედ შეყვანილი შესაბამის გრაფაში, არ იყო მითითებული რაოდენობრივი მონაცემები, ოქმი არ იყო კომისიის ბეჭდით დამოწმებული, შესწორების ოქმი არ იყო სათანადოდ შევსებული და სხვა), ასევე რიგ შემთხვევაში გამოვლინდა რაოდენობრივ მონაცემებს შორის შეუსაბამობა (ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების ჯამი მეტი იყო კენჭისყრაში მონაწილეთა ამომრჩეველთა რაოდენობაზე ან პირიქით).

მნიშვნელოვანია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების წესის გადახედვა და გამარტივება. მიგვაჩნია, რომ ზედმეტია და ამოღებას საჭიროებს კომისიისა და რეგისტრატორის ბეჭდის ნომრის გრაფები, რამეთუ აღნიშნული წინასწარ განსაზღვრულია ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ.

ოქმში არსებული ტექნიკური ხარვეზების და მონაცემების უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით, კანონით დადგენილი წესით, საჩივრით მივმართეთ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს. საჩივრები შეეხებოდა 10 მაჟორიტარული ოლქის,[186] 185 უბნის 256 შემაჯამებელ ოქმს, მათ შორის: 63 საარჩევნო უბნის პროპორციულ, 51 საარჩევნო უბნის მაჟორიტარული და 71 საარჩევნო უბნის, როგორც პროპორციულ, აგრეთვე მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმებს.

ხმის დათვლის და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი განცხადება/საჩივრების შედეგად დაყენებულ იქნა შემდეგი მოთხოვნა:

- საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების (პროპორციული ან/და მაჟორიტარული) გადასინჯვა და კანონიერი შედეგების დადგენა - 8 საარჩევნო უბანზე;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება - 15 საარჩევნო უბანზე;

186 მთაწმინდისა და კრწანისის, ვაკის, საბურთალოს, ისნის, სამგორის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის, რუსთავისა და მცხეთის მაჟორიტარული ოლქი

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება - 164 საარჩევნო უბანზე.

მისასალმებელია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის მიერ, 3 ნოემბერს, მიმდინარე საარჩევნო მოვლენებსა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, დიპლომატიურ მისიებთან და სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრის ინიციატივა, რომელშიც განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრიც (CDD) იღებდა მონაწილეობას. CDD-იმ, შემაჯამებელი ოქმების შესწავლის შედეგებთან დაკავშირებით, საზოგადოებას და ჩართულ მხარეებს მიაწოდა ინფორმაცია.[187]

საოლქო საარჩევნო კომისიებში საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით დაწერილი საჩივრების განხილვა 4-5 ნოემბერს გაიმართა. 4 ნოემბრის საღამოდან, თბილისსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში საოლქო საარჩევნო კომისიებთან, აგრეთვე ცესკოსთან, ოპოზიციური პარტიების საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, რაც ხშირად შესაბამის ოლქებში მათი მაჟორიტარი კანდიდატების მოწოდების შედეგად ხდებოდა. აქციის მონაწილეები არჩევნების გაყალბებას აპროტესტებდნენ. ბევრი მათგანი ხმების გადათვლას, ან შედეგების გაუქმებასა და ხელახალი არჩევნების გამართვას ითხოვდა.

ჩართული მხარეების შეშფოთება და კითხვის ნიშნები გამოიწვია საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმების მონაცემებში არსებულმა უზუსტობებმა და შესწორების ოქმების/ახსნა-განმარტებების სიმრავლემ.[188] არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობასა და ყუთში არსებულ ბიულეტენების რაოდენობას შორის შეუსაბამობა ე.წ დისბალანსი, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელ ოქმებში, საერთო ჯამში დაფიქსირდა 943 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

პოლიტიკური ლიდერების ნაწილი საოლქო კომისიების შენობებში შესვლას ცდილობდა. თბილისში რამდენჯერმე მოხდა აქციის მონაწილეების და სამართალდამცავების დაპირისპირება.[189] ცესკომ განცხადება გაავრცელა და დაგმო აღნიშნული მცდელობები, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებზე ზეგავლენის მოხდენისკენ იყო მიმართული.[190]

2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ სულ 2091 საჩივარი შევიდა, მათ შორის პოლიტიკურმა პარტიებმა/საარჩევნო ბლოკებმა წარადგინეს 1 425 (68,1%), სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა 629 (30,1%), საინიციატივო ჯგუფებმა 33 (1,6%), საოლქო საარჩევნო კომისიების

187 ვრცლად იხილეთ: https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3549440091788568

188 შესწორების ოქმი დაიწერა პროპორციულ ოქმში - 507 საარჩევნო უბნის (13,18%), ხოლო მაჟორიტარულ ოქმში - 584 უბნის შემთხვევაში (15,39%). ხოლო ახსნა-განმარტებები დაიწერა ჯამურად პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნებისთვის 615 საარჩევნო უბნის შემთხვევაში (15.99%).

189 დაპირისპირების შედეგად პოლიციამ 10-ზე მეტი პირი დააკავა.

190 ცესკოს განცხადება საოლქო საარჩევნო კომისიებთან მიმდინარე მოვლენების შესახებ https://cesko.ge/geo/list/show/122739-tseskos-gantskhadeba-saolqo-saarchevno-komisiebtan-mimdinare-movlenebis-shesakheb 4 ნოემბერი, 2020

წევრებმა 2 და მედიაორგანიზაციებმა 2 საჩივარი. საერთო ჯამში დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 270 (12,9%), არ დაკმაყოფილდა 698 (33,4%), ხოლო გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო განუხილველი დარჩა 1117 (53,4%), გაითხოვეს 4 და რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა 2 საჩივარი. საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრები 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული 50 პოლიტიკური პარტია/საარჩევნო ბლოკიდან 14-მა, ხოლო ცესკოში რეგისტრირებული 120 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან 21-მა შეიტანა.[191]

CDD-ის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი განცხადება/საჩივრების განხილვის შედეგად:

- მოთხოვნა დაკმაყოფილდა - 28 საარჩევნო უბნის შემთხვევაში (15,1%);
- მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა - 142 საარჩევნო უბნის შემთხვევაში (76,8%);
- განუხილვევლად იქნა დატოვებული - 15 საარჩევნო უბნის შემთხვევაში (8,1%).

ხშირ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა განუხილვევლად დატოვეს ან არ დააკმაყოფილეს წარდგენილი განცხადება/საჩივრები. გამომდინარე იქიდან, რომ საოლქო საარჩევნო კომისიას ცალსახად აქვს საგამოძიებო ფუნქცია, საარჩევნო დავების განხილვის პროცესში საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი ცალკეული სადაო შემთხვევა და რიგ შემთხვევებში დაჩქარებული წესით იქნა გადაწყვეტილებები მიღებული. რიგი საოლქო საარჩევნო კომისიები ერიდებოდნენ კომისიის ხელმძღვანელი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას, მაშინ როდესაც სახეზე იყო შესაბამისი პირების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.

საოლქო საარჩევნო კომისიები სარგებლობდნენ ფართო დისკრეციული უფლებებით, მაგრამ რიგ შემთხვევებში ვერ მოახერხეს კანონისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის თანმიმდევრულად გატარება, რაც მთლიანობაში საჩივრის განხილვის მექანიზმების მიუკერძოებლობისა და თანმიმდევრობის მიმართ არსებულ კითხვებს ბადებდა.

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვის სტანდარტის გაუმჯობესება და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრება გაზრდის საჩივრების განხილვის მიმართ საზოგადოებისა და ჩართული მხარეების სანდოობის ხარისხს. მნიშვნელოვანია საოლქო საარჩევნო კომისიების კვალიფიკაციის ამაღლება საჩივრების განხილვის მიმართულებით და მეტი სასწავლო პროგრამების განხორციელება.

საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების დავების განხილვის სტატისტიკიდან ნათლად ჩანს რომ განცხადებების/საჩივრების ნახევარზე მეტი (53,4%) განუხილველი დარჩა გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო. მნიშვნელოვანია გამარტივდეს გასაჩივრების პროცედურები, რათა განხილვაზე უარის თქმის ფორმალური საფუძვლები შეიზღუდოს.

191 ვრცლად იხილეთ საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების დავების განხილვის სტატისტიკა https://cesko.ge/geo/list/show/123519--saarchevno-subieqtebisa-da-sadamkvirveblo-organizatsiebis-davebis-gankhilvis-statistika

ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 124-ე მუხლის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა, განცხადებების/საჩივრების საფუძველზე, მოახდინეს 30-მდე საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლა. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად საოლქო საარჩევნო კომისიებს დაევალათ 15 საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლა. ამავდროულად სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი N12 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი N12.20.87 საარჩევნო უბნის შედეგები.

2020 წლის 8 ნოემბერს, საჩივრების განხილვის პროცესის კვალდაკვალ, ოპოზიციური პარტიების ორგანიზებით გაიმართა საპროტესტო აქცია საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ. რუსთაველის გამზირიდან აქციის მონაწილეებმა ცესკოსთან გადაინაცვლეს და შენობის ბლოკირება სცადეს. მათ დამცავი ჯებირები მოარღვიეს, რის პასუხადაც პოლიციამ წყლის ჭავლი გამოიყენა. ცესკო გამოეხმაურა განვითარებულ მოვლენებს და საარჩევნო ადმინისტრაციაზე ზეწოლისა და ზემოქმედების ფორმად მიიჩნია.[192]

192 ცესკოს განცხადება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით https://cesko.ge/geo/list/show/123194-tseskos-gantskhadeba-mimdinare-movlenebtan-dakavshirebit

საოლქო საარჩევნო კომისიებმა, საჩივრების განხილვების დასრულების შემდგომ, დადგენილ ვადაში შეაჯამეს კენჭისყრის შედეგები. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი სხდომების პარალელურად გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციები გაიმართა. პოლიტიკური პარტიების აქტივისტები საოლქო კომისიების შენობებთან გაყალბებას აპროტესტებენ. რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა, საოლქო საარჩევნო კომისიების არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები, ბათილობის მოთხოვნით, გაასაჩივრა ცესკოში, ხოლო შემდგომ სასამართლოში.[193] თუმცა არც ერთი საჩივარი/სარჩელი არ დაკმაყოფილდა.[194]

13 ოქტომბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხდომაზე, რომელიც ხმაურის ფონზე წარიმართა, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები შეაჯამა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 196-ე მუხლის შესაბამისად მანდატები ნაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღეს, და იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო

193 საარჩევნო სუბიექტები: „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია-ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის"; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია"; „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი" ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"

194 13 ნოემბრის სხდომის შედეგები https://cesko.ge/geo/list/show/123247-13-noembris-skhdomis-shedegebi

ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი 1% და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს შეადგენდა.



კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ბარიერი გადალახა 9 საარჩევნო სუბიექტმა (7 პოლიტიკური პარტია და 2 საარჩევნო ბლოკი).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებოდა საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტის ხმებს მიიღებდა (50%+1). 30 მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატებიდან ბარიერი გადალახა და გამარჯვება მოიპოვა 13-მა კანდიდატმა. ყველა მათგანი წარდგენილი იყო "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ. დარჩენილ 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატის ასარჩევად დაინიშნა არჩევნების მეორე ტური, რომელის გამართვის თარიღად განისაზღვრა 21 ნოემბერი.[195]

195 ცესკოს 2020 წლის 13 ნოემბრის №360/2020 განკარგულება https://cesko.ge/res/docs/CG_360.pdf

არჩევნების მეორე ტური

წინასაარჩევნო გარემო

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პირველ ტურს მკაცრი შეფასებები მოყვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან. არც ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია არჩევნების შედეგებს არ აღიარებდა და გაყალბებასა და მასიურ დარღვევებზე საუბრობდა. ოპოზიცია საპროტესტო აქციებს აგრძელებდა სადაც ძირითადი მოთხოვნები იყო: ჩატარდეს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები; გადადგეს ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია და კომისიები სამართლიანი წესით დაკომპლექტდეს; გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები.

ოპოზიციის მიერ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიმართ უნდობლობის გამოცხადების, ახალ პარლამენტში შესვლაზე ბოიკოტისა და რამდენიმე საპროტესტო აქციის შემდეგ, ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის დიპლომატების შუამავლობით პოლიტიკური დიალოგი დაიწყო. 12 ნოემბერს, გაიმართა მოლაპარაკების პირველი რაუნდი. არჩევნებზე ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტიის ლიდერები საქართველოში აშშ-ის ელჩის საცხოვრებელ სახლში შეიკრიბნენ და არგუმენტები გაცვალეს. შეხვედრას შუამავლობას საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელიც უწევდა.

პოლიტიკური პროცესების მოლაპარაკებების მაგიდასთან გადატანაზე

პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ განცხადება გაავრცელა, რასაც ნაციონალურ მოძრაობასა და მთელ ოპოზიციურ სპექტრში დაბნეულობა მოჰყვა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს განმარტებების გაკეთება მოუწია.[196]

14 ნოემბერს, ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდი გაიმართა. ოპოზიციის საპროტესტო აქციამდე რამდენიმე საათით ადრე, აშშ-ის ელჩის რეზიდენციაში, ოპოზიციასა და მმართველ გუნდის ლიდერებს შორის შეხვედრა შედგა, თუმცა შეხვედრაზე კონკრეტულ შედეგებზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

17 ნოემბერს, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის ლიდერებმა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარმოშობილი პოლიტიკური ჩიხის გადალახვისკენ მოუწოდეს.[197] არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობისა და ახალ პარლამენტში შესვლისკენ ოპოზიციას აგრეთვე მოუწოდებდნენ ევროპარლამენტარები.[198] მიუხედავად საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებისა ოპოზიცია არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა.

მეორე ტურის ორგანიზება

2020 წლის ივლისის თვეში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით დარეგულირდა, როგორც მეორე ტურის დანიშვნის, ასევე თვითონ მეორე ტურის ჩატარების წესი.

2020 წლის 21 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტური იმართებოდა იმ ოლქებში, სადაც საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა დაწესებული (50%+1) ბარიერი ვერ გადალახეს (17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში). არჩევნების პირველი ტურის შედეგებიდან გამომდინარე, 12 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პ/გ „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარ კანდიდატს უპირისპირდებოდა. ხოლო თითო-თითო მაჟორიტარულ ოლქში ერთმანეთს „ქართული ოცნების“ კანდიდატები და პარტიების: „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ და „გირჩი“ კანდიდატები უპირისპირდებოდნენ.

ოპოზიციის ლიდერებმა და მაჟორიტარობის კანდიდატებმა საჯარო განცხადებები გააკეთეს, მეორე ტურებში მონაწილეობაზე უარის თქმის თაობაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო კანონმდებლობა მეორე ტურში გასული კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, საარჩევნო ბიულეტენებში ოპოზიციის კანდიდატების სახელი და გვარი მაინც რჩებოდა.

21 ნოემბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურისთვის 2 140 210 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული, რომელთა მომსახურებისთვის 1914 საარჩევნო უბანი და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი

196 გრიგოლ ვაშაძის განცხადებას ოპოზიციაში დაბნეულობა მოჰყვა https://civil.ge/ka/archives/381992
197 ვრცლად იხილეთ: https://civil.ge/ka/archives/382997
198 ვრცლად იხილეთ: https://civil.ge/ka/archives/383012

9 უბანი შეიქმნა. სპეციალურ სიაში 4 095 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა 80 სპეციალური უბანი, რომელიც 985 ამომრჩეველს 145 გადასატანი საარჩევნო ყუთით მოემსახურებოდა.[199]

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით, 16-19 ნოემბერის პერიოდში, შესაბამისი საინფორმაციო-სასწავლო ხასიათის ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ. გადამზადება ორ ეტაპიანი სისტემით განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც I ეტაპი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ინსტრუქტაჟს დაეთმო (9 წევრი თითო საუბნო საარჩევნო კომისიიდან, გარდა კომისიის ხელმძღვანელი პირებისა), ხოლო II ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) პრაქტიკული სწავლება ჩატარდა.[200]

21 ნოემბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით ცესკოში რეგისტრირებული იყო საარჩევნო სუბიექტების 9 521 წარმომადგენელი, 132 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 47 345 და 48 საერთაშორისო ორგანიზაციის 920 დამკვირვებელი. საარჩევნო პროცესის გაშუქების მიზნით აკრედიტებული იყო 118 მედია ორგანიზაციის 5 964 წარმომადგენელი.

199 ვრცლად იხილეთ: https://cesko.ge/geo/list/show/123376-tseskom-samkurnalo-datsesebulebebsa-da-izolatsiashi-karantini-tvitizolatsia-mkofi-amomrchevlebis-spetsialuri-siebi-daamtkitsa

200 სწავლება გაიარა 17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მოქმედი 1923 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა დეტალურად იხილეთ http://electionreforms.ge/geo/list/show/3062-dasrulda-saubno-saarchevno-komisiebis-tsevrta-profesiuli-gadamzadeba-saqartvelos-parlamentis-archevnebis-meore-turistvis

აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილებაში (№665) შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც 20 ნოემბრიდან 22 ნოემბრის დილის 05:00 სთ-ის ჩათვლით გადაადგილების შეზღუდვა მოიხსნა.

2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოიყო დამატებითი ფულადი სახსრები 8 612 110.00 ლარის ოდენობით.

CDD-ის სადამკვირვებლო მისია

CDD-სა და IDEM-ის ერთობლივმა სადამკვირვებლო მისიამ, არჩევნების მეორე ტურის გამართვამდე 2 დღით ადრე, პირველი ტურის მიმდინარეობა შეაფასა და მეორე ტურის დაკვირვებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.[201] 100 კაციანი ერთობლივი სადამკვირვებლო მისია, საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას, მობილური ჯგუფების მეშვეობით დააკვირდა. მობილური ჯგუფები განაწილებული იყვნენ 11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და დააკვირდნენ საარჩევნო უბნის გახსნას - 50-მდე საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის პროცესს - 150-მდე საარჩევნო უბანზე და ხმის დათვლის პროცესს - 50-მდე საარჩევნო უბანზე.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად.

201 ვრცლად იხილეთ: https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3594267087305868

CDD-ში ფუნქციონირებდა არჩევნების დღის ცხელი ხაზი (551 706 706), რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, ცხელი ხაზის მეშვეობით ჟურნალისტებსა და მედია ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთის მხრივ, მიეღოთ ინფორმაცია და იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო პროცედურების შესახებ და მეორეს მხრივ, მოეწოდებინათ ინფორმაცია კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ.

კენჭისყრის დღე

2020 წლის 21 ნოემბერს საარჩევნო უბნები, სადაც CDD ახორციელებდა დაკვირვებას, დილის 07:00 სთ-ზე გაიხსნა. CDD-ის დამკვირვებლები საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იმყოფებოდნენ დანიშნულების ადგილზე და შეუფერხებლად აკვირდებოდნენ უბნის გახსნის პროცედურებს. დილის 08:00 საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი მზად იყო პირველი ამომრჩევლის

საარჩევნო უბნების გახსნის პროცესმა ძირითადად პროცედურების დაცვით ჩაიარა, თუმცა დაფიქსირდა უმნიშვნელო პროცედურული ხარვეზები, რასაც საერთო ჯამში პროცესზე გავლენა არ მოუხდენია. CDD-ის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით უბნის გახსნის პროცესმა ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა.

მთელი დღის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა დამკვირვებლებთან დაკავშირება და ინფორმაციის მიღება. კენჭისყრის პროცესი უმეტესად მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში მიმდინარეობდა თუმცა, დაფიქსირდა მცირე პროცედურული ხასიათის დარღვევები, კერძოდ:

- კენჭისყრის ფარულობის დარღვევა - 1 შემთხვევა;
- მარკირების მქონე ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის მცდელობა - 1 შემთხვევა;
- რეგისტრატორის მიერ საარჩევნო ბიულეტენების წინასწარ გამზადება - 1 შემთხვევა.

ამავდროულად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ არასრულფასოვნად ხდებოდა COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკოს მიერ დადგენილი წესების შესრულება. ხმის მიცემის პროცედურის მიმდინარეობის დროს უბნის გარეთ CDD-ის დამკვირვებლების მიერ კვლავ დაფიქსირდა ე.წ. „კოორდინატორების“ მობილიზების შემთხვევები, რომლებიც „ჟურნალში“ კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერების აღრიცხვას აწარმოებდნენ.

არჩევნების დღეს სატელევიზიო არხების უმეტესობაზე, აგრეთვე ონლაინ მედიისა და რადიო მაუწყებლების მეშვეობით, ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. ეს საინფორმაციო გამოშვებები დეტალურად მიმოიხილავდა არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას, დარღვევებს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებსა და განცხადებებს.

არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველთა აქტივობამ იკლო. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 562 664 (26,29%) ამომრჩეველმა. აღსანიშნავია, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტი აქტიურობით ვიდრე თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები. I ტურთან შედარებით ქალთა აქტივობა არჩევნებზე უფრო მაღალი იყო (51.43%), ვიდრე მამაკაცთა (48.57%). ყველაზე დიდი აქტივობა დაფიქსირდა დღის საათებში (12^{00}-15^{00} სთ შუალედში).

20:00 საათზე ყველა საარჩევნო უბანი დროულად დაიხურა. CDD-ის დამკვირვებლები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნებზე და აკვირდებოდნენ საარჩევნო ყუთების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესს. ხმის დათვლის პროცესი მეტწილად მშვიდ გარემოში წარიმართა. უფლებამოსილ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ პროცესს, რომელიც იყო გამჭვირვალე. ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის გამო საარჩევნო უბნების უმეტესობამ დროულად განახორციელა ხმის დათვლის პროცედურა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება და საარჩევნო დოკუმენტაციის ოლქისათვის წარდგენა.

კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, თითოეული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები დროულად თავსდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.results.cec.gov.ge.), თუმცა მონაცემების გასაჯაროების პროცესში მცირე დროით დაფიქსირდა ტექნიკური/პროგრამული ხარვეზი, საარჩევნო ადმინისტრაციამ დროული რეაგირება მოახდინა და უმოკლეს ვადებში ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო მეორე ტურის წინასწარი შედეგები ალტერნატიული ფორმატით.

საზოგადოებას და ჩართულ მხარეებს, პერიოდულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების შედეგების შესახებ. ინფორმაციები პერიოდულად ქვეყნდებოდა ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.facebook.com/CDD.ge) და ვრცელდებოდა, როგორც სატელევიზიო, აგრეთვე ინტერნეტ მედია საშუალებებში (იხილეთ დაკვირვების შედეგები 12:00 საათისათვის[202] და 21:00 საათისათვის[203]).

202 ვრცლად იხილეთ - https://fb.watch/3bJGGv1F-H/; https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3599990803400163
203 ვრცლად იხილეთ - https://www.facebook.com/CDD.ge/posts/3600805036652073

არჩევნების შედეგები

22 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეს-სპიკერმა საზოგადოებას მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები გააცნო.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა, არსებული საჩივრების განხილვების დასრულების შემდგომ,[204] საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე,[205] დადგენილ ვადაში შეაჯამეს კენჭისყრის შედეგები. საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესი მშვიდ ვითარებაში ექსცესების გარეშე წარიმართა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებოდა საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში ყველაზე მეტ ხმას მიიღებდა. 17 მაჟორიტარულ ოლქში გამართული არჩევნების მეორე ტურის შედეგების საფუძველზე 17-ივე მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვება მოიპოვა "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარდგენილმა კანდიდატმა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 30 წევრიდან, სქესთა გადანაწილება შემდეგია: ქალი - 1 (3%) და კაცი - 29 (97%).

3 დეკემბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა. შემაჯამებელი სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულმა კომისიის წევრებმა. არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით მანდატები საქართველოს პარლამენტში შემდეგნაირად განაწილდა:





204 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურზე საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში 25 საჩივარი შევიდა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან.

205 გასაჩივრდა მხოლოდ თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, თელავის რაიონული სასამართლოში https://sachivrebi.cec.gov.ge/#/193351

დასკვნა

დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიზაციის გზაზე. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნები განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით, რამეთუ პირველად ჩატარდა პროპორციულთან მიახლოებული საარჩევნო სისტემით.

არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, დემო-კრატიული არჩევნების ჩასატარებლად მყარ საფუძველს ქმნიდა, თუმცა კვლავ რჩება რიგი კონცეპტუალური საკითხები, რომელიც მოწესრიგებას საჭიროებს.

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად საერთაშორისო ვალდებულებების და დემოკრატიული არჩევნების საყოველთაო პრინციპების დაცვით ჩატარდა. დაცული იყო ისეთი ფუნდამენტური პრინციპები როგორიცაა: საყოველთაობა, ხმის მიცემის ფარულობა და ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენა. საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანია წარმოებდა შეკრებისა და გამოხატვის უფლების დაცვით. არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის უზრუნველყოფილი იყო ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის უფლება და გასაჩივრების უფლება.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეძლო ლოგისტიკურად არჩევნების ეფექტურად წარმართვა. ცესკომ წარმატებით გაართვა თავი მოკლე პერიოდში მეორე ტურის ადმინისტრირებას. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის მიმართ ბოლო პერიოდში არსებული უარყოფითი დამოკიდებულებები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აღქმაზე მათ მიუკერძოებლობასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გაიზარდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცესის გამჭვირვალობა, გარკვეულწილად აღიკვეთა პოლიტიკური წარსულის მქონე კომისიის წევრთა არჩევის პრაქტიკა და ინტერესთა კონფლიქტი, თუმცა აღნიშნულმა მაინც ვერ უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესის მიმართ ნდობის გაზრდა.

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების: CDD-სა და IDEM-ს ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაცის საფუძველზე 2020 წლის 31 ოქტომბერსა და 21 ნოემბერს კენჭისყრის პროცესმა უმეტესწილად მშვიდ გარემოში, ორგანიზებულად და პროცედურების დაცვით ჩაიარა. კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა მეტწილად კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, თუმცა საარჩევნო უბნებს გარეთ ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები, ჟურნალისტებისა და

დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტები, პარტიული კოორდინატორების და აქტივისტების მიერ ამომრჩეველთა აღრიცხვის მანკიერი პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებდა საარჩევნო გარემოზე.

აღსანიშნავია არჩევნების პირველ ტურზე ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველი ამომრჩევლის მხარდაჭერა შეცვლილი საარჩევნო სისტემისადმი, რომლის ერთერთი მთავარი მიზანი, სწორედ უფრო პროპორციული, წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება იყო.

შეცვლილმა საარჩევნო სისტემამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები შექმნა ახალი და მცირე რეიტინგის მქონე პარტიებისთვის. სავალდებულო გენდერული კვოტის დაწესებამ დადებითი, თუმცა მცირედი, ეფექტი იქონია ქალთა წარმომადგენლობაზე. ამ პროგრესის მიუხედავად საჭიროა მუშაობის გაგრძელება და ეფექტური მექანიზმების დანერგვა ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო მეტი ჩართულობისთვის.

მრავალპარტიული დემოკრატიისკენ სწრაფვა და თავისუფალი არჩევნები ქართული საზოგადოების ნება და მნიშვნელოვანი მონაპოვარია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მომავალი პარლამენტის მრავალპარტიულ გარემოში ფუნქციონირება, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი რეფორმების მრავალპარტიულ - პლურალურ გარემოში განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს და გააჯანსაღებს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

მიგვაჩნია, რომ ტექნოლოგიურად და კიბერუსაფრთხოების კუთხით საქართველო მზად არის ელექტრონული არჩევნების დანერგვისა და ჩატარებისთვის, რაც ერთის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირებს/ გამორიცხავს საარჩევნო პროცესში სხვადასხვა მანიპულაციებისა თუ ადამიანური შეცდომების დაშვების ალბათობას, და მეორეს მხრივ ხელმისაწვდომს გახდის არჩევნებში მონაწილეობას იმ პირებისთვის ვისაც გააჩნიათ ბუნებრივი თუ ტექნიკური ბარიერები (საზღვარგარეთ მყოფი პირები, შიდა მიგრაციაში მყოფი პირები, შშმ პირები, ახალგაზრდები თუ სხვა). შესაბამისად მნიშვნელოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები საარჩევნო ტექნოლოგიების მიმართ ნდობის ამაღლების, ფართო საზოგადოების მხარდაჭერისა და საკანონმდებლო ცვლილებების განსახორიცლებლად.

რეკომენდაციები

არჩევნებისთვის თვისობრივად უკეთეს, გამჭვირვალედ, სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების მოწესრიგება:

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების პერიოდში გამოვლენილმა პროცედურული ხასიათის დარღვევებმა წარმოაჩინა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა დასახვეწია და საჭიროებს შემდგომ რეფორმირებას საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ მიგვაჩნია, რომ:

- კანონმდებლობით განსაზღვრული ბინადრობის სავალდებულო ცენზი დისკრიმინაციულია და ზღუდავს პირის უფლებას არჩეული იქნას საკანონმდებლო ორგანოში. ამავდროულად კანდიდატისთვის დაწესებული ასაკობრივი ცენზი (25 წელი) საკმაოდ მაღალია, მაშინ როდესაც ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში 18 წელია. მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით კანონმდებლობის გადახედვა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის ობიექტური კრიტერიუმების დაწესება.
- საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი გადახედვას საჭიროებს. აუცილებელია იმ პირებს, რომლებიც ბოლო არჩევნებზე იყვნენ პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული წევრები, კანონით აეკრძალოთ კონკურსის წესით საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩევის უფლება (როგორც ეს გათვალისწინებულია საუბნო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში).
- საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების მოქმედი წესის ძირეული გადახედვა და კანონით კანდიდატების შერჩევის/შეფასების ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა. თუ სამომავლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი იგივე დარჩება მნიშვნელოვანია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის უფრო მკაფიო რეგულირება, რომელიც ეხება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური წარსულის მქონე პირის არჩევის დაუშვებლობას.
- მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქცია – მოვალეობები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია. კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივებისა და რიგი ფუნქციების სწორად გადანაწილების პირობებში მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიისწევრთარაოდენობისშემცირება.

იმ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა შესაძლებელია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 6 წევრის ნაცვლად დანიშნული იქნას 2, 3, ან 4 წევრი. კომისიების შემადგენლობის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს არსებული რესურსის უკეთ გადანაწილებას, ადმინისტრაციის წევრებისთვის უკეთესი ანაზღაურებისა და მომზადების შესაძლებლობას.

- მნიშვნელოვანია კანონმდებლობით საუბნო საარჩევნო კომისიის ფორმირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება და საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრთა მუდმივი რეესტრის ფორმირება, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას მისცემს შესაძლებლობას პერიოდულად მოამზადოს და განაახლოს პოტენციურ კომისიის წევრთა რესურსი. პოლიტიკურ პარტიებს თავისუფლად არ უნდა შეეძლოთ მათ მიერ დანიშნული კომისიის წევრების თვითნებური გამოწვევა. მნიშვნელოვანია კანონმდებლობით მკაფიოდ იყოს განსაზღვრული კომისიის წევრის გამოწვევის საფუძვლები და ვადები (არჩევნებამდე მინიმუმ 25 დღემდე მაინც).
- ამომრჩევლის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოსავლენად მნიშვნელოვანია კენჭისყრის დღეს ე.წ. „სიჩუმის პერიოდის“ დაწესება.

ამავდროულად მიგვაჩნია, რომ არჩევნების დღე გადატვირთულია რიგი პროცედურებით, რაც ართულებს პროცესის ადმინისტრირებას, კერძოდ:

- მარკირების პროცედურის ამოღებით შესაძლებელია არჩევნების დღის პროცედურების მნიშვნელოვნად გამარტივება;
- მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს, რომ სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში მოთავსების შემდეგ ამომრჩეველმა უნდა დატოვოს კენჭისყრის შენობა;
- მნიშვნელოვანია მთვლელების მიერ ბიულეტენების დათვლისა და დახარისხების პროცედურის გამარტივება და მკაფიო რეგულირება, რაც უზრუნველყოფს პროცედურის განხორციელების დროულობას და სისწორეს;
- გადახედვას საჭიროებს საარჩევნო ბიულეტენის ბათილობის საფუძვლები. მნიშვნელოვანია გაუქმდეს საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორის ხელმოწერის და ბეჭდის დასმის პროცედურა;
- ამომრჩეველთა მხრიდან დაფიქსირებული პოზიციისა და მოთხოვნის შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია ამომრჩეველს მიეცეს საშუალება არჩევნების დღეს, სურვილის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში დააფიქსიროს „ხმა ყველას წინააღმდეგ“ ამ შემთხვევაში ნათლად დაფიქსირდება ამომრჩევლის ნება და დღეს არსებული რეგულაციების შესაბამისად მსგავსი ბიულეტენი არ იქნება მიჩნეული ბათილად არამედ ჩაითვლება ამომრჩევლის პოზიციად;
- მნიშვნელოვანია საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს ნორმა, რომელიც დაავალდებულებს საარჩევნო კომისიას დაადგინოს ამომრჩევლის განზრახვა და ბათილად არ სცნოს ისეთი ბიულეტენი სადაც ნება აშკარად გამოხატულია;

- მნიშვნელოვანია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების წესის გადახედვა და გამარტივება. მიგვაჩნია, რომ ზედმეტია და ამოღებას საჭიროებს კომისიის და რეგისტრატორის ბეჭდის გრაფები, რამეთუ აღნიშნული წინასწარ განსაზღვრულია ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ;
- მნიშვნელოვანია გამარტივდეს გასაჩივრების პროცედურები, რათა განხილვაზე უარის თქმის ფორმალური საფუძვლები შეიზღუდოს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მაქსიმალური ინფორმირებისათვის, მნიშვნელოვანია, საოლქო საარჩევნო კომისიებმა, მეტი გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, უზრუნველყონ სხდომების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ცესკოს ვებ-გვერდზე.

საოლქო საარჩევნო კომისიის გამჭირვალობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა გადაწყვეტილების ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნება კანონოთ იყოს სავალდებულო. შესაბამისად საჭიროა ცესკოს 2013 წლის 16 ივლისის N27 დადგენილებაში განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების ვადები და შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და ასევე შევიდეს შესაბამისი ცვლილება, როგორც გამოქვეყნების წესში, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტში.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის ხარისხისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა, საუბნო სარჩევნო კომისიის წევრების არჩევისას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასარჩევი პირების პოლიტიკურ წარსულს არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ბოლო საერთო არჩევნების, არამედ განსაკუთებით ბოლო რამდენიმე არჩევნების ჭრილში.

შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისათვის შემუშავებულ იქნას ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მარტივი მექანიზმი. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ელექტრონული სწავლებისა და შეფასების სისტემა, რომლიც გავლის აუცილებლობაც კანონით იქნება გათვალისწინებული.

მნიშვნელოვანია, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სწავლებისა და გადამზადების ერთიანი სისტემის განვითარება და ტრენინგების კონცეფციაში სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობით საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაძლიერება და საარჩევნო პროცესებში მართი ჩართულობის ხელშეწყობა.

აუცილებელია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებზე დასწრების ვალდებულების მკაფიო რეგულირება და კონტროლი ზემდგომი საარჩევნო კომისიების მხრიდან.

მნიშვნელოვანია საოლქო საარჩევნო კომისიების კვალიფიკაციის ამაღლება საჩივრების განხილვის მიმართულებით და მეტი სასწავლო პროგრამების განხორციელება.

იმისათვის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი იყოს ეთიკური პრინციპებისა და ქცევის სტანდარტების დამკვიდრებისკენ მიმართული ქმედითი დოკუმენტი, სასურველია იგი მოიცავდეს ადექვატურ სანქციებს და გააჩნდეს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი.

მნიშვნელოვანია დაინერგოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა წახალისების მექანიზმები, რაც ერთის მხრივ, აამაღლებს კომისიის წევრთა მოტივაციას და მეორეს მხრივ, მისცემს მათ სტიმულს პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა

მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციამ გააძლიეროს საკუთარი შესაძლებლობები დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების საპასუხოდ და საარჩევნო პროცესების მავნე ჩარევებისგან დასაცავად. უნდა მოხდეს საარჩევნო კამპანიასა და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყალბი, დეზინფორმაციული თუ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი. საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციამ დაგეგმოს და განახორციელოს სიმართლის შემცველი, საინტერესო საინფორმაციო კამპანიები ონლაინ პლატფორმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა გაავრცელოს სიმართლე და სწორი ინფორმაცია.

არჩევნების უსაფრთხოება

მნიშვნელოვანია მომავალი არჩევნებისათვის თანასწორი გარემოს შექმნა, რათა მხარეებმა კამპანიის წარმოება შეუფერხებლად შეძლონ. დაცული უნდა იყოს კამპანიის მონაწილეთა უსაფრთხოება და უფლებები. ამავდროულად აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის ძირითად უფლებათა გათვალისწინებით, მასების მართვის/კონტროლის სფეროში.

პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის, საზოგადოებრივი და საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის გაზრდა და სამოქალაქო განათლებაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება იმის შესახებ, რომ დევნა, დაშინება და ძალადობა მიუღებელია.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია

გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის მიგრაცია, საცხოვრებლის შეცვლა, გარდაცვალება, და სხვა ფაქტობრივი მიზეზები, შეუქცევადი პროცესია საჭიროა სიების სრულყოფის მიზნით აქტივობების გაგრძელება.

მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა სიების სრულყოფის მიზნით აქტივობების გაგრძელება, მათ შორის:

- პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარება, რათა არ შეეზღუდოთ აქტიური ხმის უფლება;
- სიაში გარდაცვლილ პირთა შესახებ, მათ შორის საზღვარგარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარდაცვლილთა, მონაცემების მოძიება, შესწავლა და აქტიური ჩანაწერების შემცირება;
- სიაში იმ კატეგორიის ამომრჩევლების შესახებ მონაცემების მოძიება, დამუშავება და აღდგენა, რომლებსაც არ გააჩნიათ/გააჩნიათ უხარისხო ფოტოსურათი.

საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის, რომლებსაც დევნილის სტატუსი აქვთ შეჩერებული, შესაძლებელია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის შეთავაზება.

მნიშვნელოვანია, პრობლემური რეგისტრაციის მისამართი მქონე ამომრჩევლების ინფორმირების მიზნით, ეფექტური საინფორმაციო კამპანიის განხორციელება, რათა მათ დროულად გაიარონ რეგისტრაცია მისამართის მიხედვით.

ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველთა სიაში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც შესაძლოა ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა მოჰყვეს, საკმარისად ადრე განხორციელდეს, რათა შესაბამის უწყებებს საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად და ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაციისათვის საკმარისი დრო ჰქონდეთ.

მნიშვნელოვანია საარჩევნო მანიპულაციების შემცირებისა და ამომრჩეველთა ხმის მიცემის უფლების სრულყოფილად რეალიზების მიზნით ამომრჩეველთა ბიომეტრიული იდენტიფიცირების მექანიზმების დანერგვა საარჩევნო უბნებზე.

წინასაარჩევნო კამპანია

იმისათვის, რომ პოლიტიკური პარტიები ქცევის კოდექსი იყოს ეთიკური პრინციპებისა და ქცევის სტანდარტების დამკვიდრებისკენ მიმართული ქმედითი დოკუმენტი, სასურველია იგი მოიცავდეს ადექვატურ სანქციებს და გააჩნდეს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი. წინასაარჩევნო კამპანიის წესების უფრო მკაფიო და ეფექტიანი რეგულირების მიზნით, სასურველია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და კონტროლის/ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების შემოღება. ისევე როგორც, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციების შემოღება პოტენციურ დარღვევებთან მიმართებით.

ამავდროულად მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში კამპანიისა და ეთიკური წესების ზედამხედველობაზე

პასუხისმგებელი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელშიც შევლენ პოლიტიკური პარტიების, კონკრეტული სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნელები.

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და მზარდი მოთხოვნილებების ფონზე, თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში ონლაინ სივრცეში აგიტაციის განხორციელების მკაფიო რეგულირდება, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

უწყებათაშორისი კომისია

მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები იყოს შესასრულებლად სავალდებულო და დაინერგოს შესაბამისი უწყებების მიერ მათი აუცილებელი შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. მიგვაჩნია, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანია და უფრო მაღალი ლეგიტიმაციისა და სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით გადავიდეს საქართველოს პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაში.

CDD